

63

1938

ბაქ. 21.


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ქსენოფონ სოქოლაშვილი
განმარტავს
!

1938



სსრკ მეცნიერებათა აკადემია — საქართველოს მეცნიერებათა
АКАДЕМИЯ НАУК СССР — ГРУЗИНСКИЙ ЦЕНТРАЛ

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. იაშვილის სახ.
Институт языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра

მასალები

საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

ნაკვეთი I Выход

საქართველოს საბჭოთაო
მეცნიერებათა
Об'язательный контрольный
экземпляр

ტფილისი
1938



სსრკ მეცნიერებათა აკადემია — საქართველოს ფილიალი
АКАДЕМИЯ НАУК СССР — ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.
Институт языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

ნაკვთი I ВПУСК

საზღვრეზღო სათნობრო
ფუნქციონარი
Об'язательный контрольный
экземпляр

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

Тбилиси

ტფილისი — 1938

Tbilissi



დაიწიქდა ს ს რ კ მეცნიერებათა აკადემიის
 საქართველოს ფილიალის განკარგულებით
 თავმჯდომარე პრფ. ნ. შერსე ლ მ შ ი ლ ი

რედაქტორი პრფ. ს ი მ მ ნ ჯ ა ნ ა შ ი ა

ტიპრედაქტორი თ. ანდღულაძე კორექტორები: ა. თოდუა, მ. კორძაია
 გამომშვები ან. თოდუა

გადაცემულია ასაწყობად 3.10.1937 ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.8.1938
 ქალაქის ზომა 72x105 სმ. ანაწყობის ზომა 7x11. 8,5 საბეჭდი თაბახი
 მთავლიტი № 389. შეკვეთა № 474. ტირაჟი 1000
 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა, ტფილისი, წერეთლის ქ. 7

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიე-
ლების სასულიერო ტექსტები 5—10

I. ს უ მ ბ ა ნ ი

A. პირის-ქარი (დაველოსნება, დამწყალობნება) 11—26

B. სადიდებელთაი (სადიდებო, ჯვარული) 26—38

III. ს ა ს ი მ ლ ი რ ო ბ ა ი

A. ქორ-ბედელა 39—46

დამატება 46—48



3. ბადაველიძე

აღმოსავლეთ საქართველოს ქართული მთიელის სასულიერო ტექსტები

აქ მოცემული მასალა წარმოადგენს სხვადასხვა სახის სასულიერო ხასიათის ტექსტებს—ხუცობათ და სასიმღეროებს ე. წ. „ხთიშვილთა“ შესახებ.

ხუცობათა ტერმინ ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმ წარსათქმელებს, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების ხევის-ბერები, დეკანოზები, ხუცები (ანუ ხუცეები) და ხელოსნები იტყოდნენ ხოლმე ღვთაებათა და წმინდანების სალოცავად, სავედრებლად და სადიდებლად.

ხუცობანი რამდენიმე სახის ტექსტისაგან შესდგებიან. მათგან თვითველ სახეს სხვადასხვა ტომში სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა: ხევსურეთში—„პირის-ქარი“, „მოქსენება“, „კურთხევანი“, „სადიდებელთა“, თუშეთში—„დახელოსნება“, „ჯვარული“, ფშავეში და მთიულეთში—„დამწყალობნება“ ანუ „დაქელოსნება“, ხევში—„სადიდებო“ და სხვა.

ხუცობათა დასახელებულ სახეობათაგან კურთხევანის ტექსტები მხოლოდ ხევსურეთშია დამოწმებული. ისინი აქ ნაირ-ნაირი ვარიანტითაა შემონახული და წარმოადგენენ ხუცის საღვთისმსახურო ტექსტების ორგანულ ნაწილს, რომლებიც წარმოითქმოდნენ უმრავლეს შემთხვევაში უშუალოდ პირის-ქარის შემდეგ. ხევსურულ კურთხევათა ტექსტებს აშკარად ატყვია ქრისტიანული რელიგიის ბეჭედი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ დროთა ვითარების გამო ხევსურეთში ზეპირგადმოცემით შერყვნილ ქრისტიანულ ტექსტებს. მათთვის სათანადო დედნის მიკვლევა თუმცაღა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. ამგვარი მუშაობა ძველ ქაშინებსა და კურთხევანებზე დაწყებულია. მუშაობის დამთავრების შემდეგ ამ სახის სალოცავები გამოქვეყნდება სათანადო შესადარებელი მასალით და აღდგენილი ტექსტების მიხედვით. ამ გარემოების გამო კურთხევანის ტექსტებს აქ არ ვაქვეყნებთ.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ხუცობათა ორი ძირითადი ჯგუფის ტექსტების ნიმუშები: 1. სალოცავ-სავედრებლები და 2. ღვთაებათა და წმინდანების სადიდებლები. პირველი ჯგუფის ხუცობანი ხევსურეთში ცნობილია ბუდე-ხევსურეთსა და მიღმახევე-შატილში „პირის-ქარის“ სახელწოდებით, ხოლო არხოტში ამგვარ სავედრებლებს „ხუცობა“ ეწოდება.

„პირის-ქარი“ ანუ საკუთრივ „ხუცობა“ წარმოითქმოდა სხვადასხვა შემთხვევების გამო: ხატში ან სახლში შესაწირავი საკლავის დაკვლის წინ, სალუდე კოდის გახსნის დროს, შესაწირავ თასებზე, რიტუალურ კვერებზე, სახლის

განათვისის დროს და სხვ. არბოტში ხუცობათა ტექსტებში აშკარად განირჩევა მისი შემადგენელი ორი ნაწილი: „მოკსენება“ და საკუთრივ „ხუცობა“. წარსათქმელის ეს ნაწილები აქ სავსებით ჩამოყალიბებულია და ზოგიერთ რელიგიურ წესჩვეულების შესრულების დროს თვითიული მათგანი ცალკეც კი წარმოითქმოდა ხოლმე. ასე, მაგალითად, როდესაც ხელოსანი ხატში ანუ ჯვარში „მესაწულებზე“ ლოცულობდა, ის თვითიულ მათგანზე მხოლოდ „მოკსენებას“ წარმოსთქვამდა და შემდეგ კი ყველა „მესაწულეს“ ერთად „პირისქარს“ ანუ საკუთრივ „ხუცობათ“ შეუსრულებდა. არსებობდა აგრეთვე ისეთი წესჩვეულებები (მაგ., ე. წ. „აშლის დაშლა“), რომელთა შესრულების დროს ხელოსანი საკუთრივ ხუცობას არ შეასრულებდა და მხოლოდ „მოკსენებას“ იტყოდა.

„მოკსენებაში“ ხუცესი მოიხსენებს: 1. ღვთაების ან წმინდანის („ხთიშვილის“) სახელს, რომელსაც ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მლოცვა-შემწირველი ხევესური მიმართავდა, 2. შეწირულების ობიექტს (საკლავს, ან ლუდიან კოდს, ან სანთელ-ქიქა-ბარძიშს, თუ სხვ.), რომელიც დასახელებულ ღვთაებას, თუ წმინდანს ეწირებოდა და 3. მლოცვა-შემწირველებს ან მლოცვა-შემწირველის საკუთარ სახელს ახსენებდა. ბუდე-ხევესურეთსა და მიღმახევე-შატილში პირის-ქარს ეს „მოკსენება“ ჩამოწორებული აქვს.

„პირის-ქარში“ ანუ საკუთრივ „ხუცობაში“ მოცემულია ლოცვა-ვედრება. ლოცვა-ვედრების საგანი და შინაარსი ყველა პირის-ქარში ერთნაირია, გარკვეული ტრაფარეტით შემუშავებული და გარკვეულ ფრაზეოლოგიაში ჩამოყალიბებული. ის შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. სახლოგადო, სადაც ხუცესი სთხოვს წმინდანს, შენს მეხვეწურს ნუ მოიწყენ, ნუ მოიძულებ, რა წყალობასაც გთხოვდეს, ის უბოძე, თხოვნა შეუსრულე, მისი ქედოსან-მანდილოსნის, ორფეხ-ოთხფეხის, ნამაშვრალ-ნამუშავრის მშველელი და მწყალობელი იყავი. 2. ადამიანისათვის — მეხვეწურს კაცები უმრავლე, კაცს კაცობა უმატე, წულ-ყმა მიეცი, უზიანოდ დაუზარდე და ბედ-იღბალი დაუყოლე, მექარ-მოღალატე არიდე, სნეულს ულხინე, „ლონე-ქონე“ მიეცი; ველთ გასულს გაჰყვივი, დაეხმარე, გაუმარჯვე, მტერზე გაამარჯვებინე. 3. სახლისათვის — მეხვეწურის სახლს ნუ მიაყენებ სენს, სასჯელს, ზიანს, წინმყოფთ მტრისა და სიკვდილის ხმას ნუ გააგონებ. 4. მოსავლისათვის — მეხვეწურს ზამთარი მშვიდობით გადააყრებინე, ზაფხული გამარჯვებისა მიეცი, ხარ-გუთანზე ჯვარი დაუწერე და ბარაქა დაუტანე, მოსავალი ღალიან-ბარაქიანი მიეცი. 5. „ხთისნასახთ“ წინაშე შუამავლობისათვის — სხვა ხთისნასახებს შენი მეხვეწურისათვის მადლი გამოსთხოვე, მორიგისა და კვირიასაგან გამოუთხოვე ყველაფერი, რასაც გვედრებოდეს, თუ ხთისნასახნი შენს მეხვეწურს უწყებოდნენ, შენ მათ მადლი გამოუთხოვე, თუ მორავს ან კვირიას შენ მეხვეწურზე სხვა ხთისნასახნი უჩიოდნენ, შენ გამოესარჩლე და მათ გული უბრუნე, თუ ღვთისაგან საზიანო საქმე გამოვიდეს ხორციელებზე, შენს მეხვეწურს ეს ზიანი აარიდე, მას შენი კაბის კალთა დააფარე. 6. შეცოდების პატიებისათვის — მეხვეწურის შეცოდებისათვის, რომელიც მას მოუვა ბნელში ან „სისკარზე“, აღკვეთილ ადგილებზე სიარულით, დაუფიქრებელი ლაპარაკით, უწყსოდ იარაღის



ხმარებით, ურიგო მუშაობით,—ყველა ამ შეცოდებისათვის შესაწირი გადაახდევინე და შეუნდევ; შენი ლაშქარი შენს კარზე შეკრიბე.

საერთო ფონი „მოკსენებისა“ და „პირის-ქარისათვის“ ხუცობათა პირველი ჯგუფის ტექსტებში არის ღვთაებისა და წმინდანების ხოტბა, მათი სახელისა და ძალის განდიდება.

ხუცობათა მეორე ჯგუფის ტექსტებს ხევისურეთში წარმოადგენენ ე. წ. „სადიდებელთანი“. ეს ტექსტები შეიცავენ ღვთაებათა და წმინდანების („ხთიშვილთა“) სადიდებლებს. ტაბაკზე დაწყობილი შესაფერისი რაოდენობის (იმდენი, რამდენი ხთიშვილიც მოიხსენება) ლუდიან თასებზე, რომლებზეც დაკრულია ანთებული სანთლები, და რიტუალურ კვერებზე ხუცი დანარჩენ „ხატიონთა“ ანუ „ჯვარიონთა“ (ხატის ანუ ჯვარის მსახურთა) თანადასწრებით ადიდებს ღვთაებებსა და წმინდანებს თვითთულ მათგანს ცალკე თითო თასით. ჩვეულებრივ ის იწყებს მორიგე ღმერთის დიდებით, შემდეგ ან კვირიაზე ან თავის თემის ხთიშვილების დიდებაზე გადადის და ბოლოს დანარჩენ ხთიშვილთა და ანგელოზებს ადიდებას. ზოგიერთ რელიგიურ წესჩვეულების შესრულების დროს სადიდებელთაი მოკლეა, ლუდიანი თასები ნაკლები რაოდენობით იდგმება ტაბაკზე და ნაკლები ხთიშვილიც მოიხსენიება. მაგალითად, არხოტში ჩვეულებრივად სამი თასის დადგმა იცოდნენ ამ თემის სამი მთავარი ხატის—მიქელ მთავარ-ანგელოზის, მთის ვეშაგის და ჯაჭველისათვის.

ტექსტების კლასიფიკაციის დროს ჩვენ ძირითადად ვყრდნობოდით ჩვენ მიერ ხევისურეთსა და თუშეთში შეკრიბულ მასალას. ხუცობათა ტექსტების აღნიშნულ ორ ჯგუფს მოვუნახეთ ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ქართველ მთიელებში. ქვემოთმოყვანილი თუშური და ფშაური „დაველოსნების“ ანუ „დამწყალობნების“ ტექსტები ხევისურული „პირის-ქარის“ მსგავსს სალოცავ-სავედრებელ წარსათქმელებს წარმოადგენენ, ძირითად ნაწილში ყველა ამ ტექსტის შინაარსი ერთნაირია და ხშირად ეს შინაარსი თითქმის ერთი და იგივე ფრაზეოლოგიითაა მოცემული. ამიტომ ხევისურულ პირის-ქართან ერთად თუშურ და ფშაურ დახელოსნებას ჩვენ ხუცობათა პირველი ჯგუფის ტექსტებს მივაკუთვნებთ.

ასეთივე მსგავსება არსებობს ხევისურულ სადიდებლებთან ფშაურ, მთიულურ და მოხურ „სადიდებლისა“ და თუშური „ჯვარულისა“. მსგავსად ხევისურული „სადიდებელთისა“ ფშაურ, მთიულურ, მოხურ და თუშურ ანალოგიურ ტექსტებში ღვთაებათა და წმინდანების („ხთიშვილების“) ჩამოთვლა და მათი დიდება-გამარჯვების მოხსენებაა მოცემული. ამდენად ეს ტექსტები თავისი შინაარსით ხევისურულ სადიდებელთა ანალოგებს წარმოადგენენ და ხუცობათა მეორე ჯგუფის ტექსტებს მიეკუთვნებიან. გარეგნული ფორმით კი თუშური სადიდებლის ანუ, როგორც მას თვით თუშები უწოდებენ, „ჯვარულის“ ტექსტები განირჩევიან იმით, რომ ისინი გარითმული არიან, ლექსად შედგენილი. ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქვბინებს, რომ ჯვარული სასაუბრო ენის წარსათქმელს კი არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლებელია ის სასულიერო სასიმღერო ყოფილიყო.



ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება მრავალი ფაქტი, რომლებიც უდავოდ ხდიან იმას, თუ რა დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სასიმღეროებს სახატო რიტუალის შესრულების დროს. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიელებში უსიმღეროდ თითქმის არცერთი სახატო დღეობა არ ტარდებოდა. ხატში სიმღერებს ასრულებდნენ ფერხულის დროს, ან სასიმღეროებს ფანდურზე დაამღერებდნენ.

ფერხულის დროს შესასრულებელ სასიმღეროებს თუშეთში საერთო სახელად თვით ფერხულის სახელწოდების მიხედვით „ქორ-ბეღელა“ ეწოდება, ხოლო ხევსურეთში მათ „ფერჯისაის“ სასიმღეროები შეესაბამება. როგორც თუშური ქორ-ბეღელას, ისე ხევსურული ფერჯისაის სასიმღეროები და ფერხულეები განკუთვნილი იყვნენ სხვადასხვა ხთიშვილთა სახელზე და ამ ხთიშვილთა სახელებით იხსენიებოდნენ. თავისი შინაარსით ქორ-ბეღელას სასიმღეროები საგრძნობლად განსხვავდებიან ხევსურული ფერჯისაის სასიმღეროებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თვითეული ქორ-ბეღელას სასიმღერო გარკვეულ ხთიშვილს მოიხსენებს და ამ ხთიშვილის სახელზეა განკუთვნილი, ყველა ქორ-ბეღელას ტექსტის შინაარსი თავის ძირითად ნაწილში სავსებით ერთნაირია და ფორმის მხრივაც ერთსა და იმავე ფრაზებშია ჩამოყალიბებული. ქორ-ბეღელაში მოცემულია: 1. იმ ხთიშვილის სახელი, რომლისთვისაც დღეობაა განკუთვნილი, 2. ხთიშვილისადმი მიმართვა პურის მოსავლის, საქონლის და ადამიანთა მატებაზე და 3. ბოლოს (ან თავში) მოცემულია ეპიზოდი ხთიშვილის სახელობის ხატის კარზე ალვის ხის ამოსვლის შესახებ. ქორ-ბეღელას შინაარსის მეორე ელემენტი ქრისტიანობისათვის უჩვეულო სახითაა მოცემული და წარმართულ-რელიგიურ ტექსტებს უფრო მოგვაგონებს. წმინდანის (ხთიშვილის) წინაშე ლოცვა-ვედრების ნაცვლად მასში ხთიშვილისადმი მოთხოვნილება არის წყენებული: თუ გინდა ჩვენგან სავსე კოდები გქონდეს, პურის მოსავალი გვიმატე, თუ შესაწირავი საკლავი გინდა, საქონელი გვიმატე, თუ „მოსახელენი“ გინდა, შენი საყმო ვაამრავლეო და სხვა. არქაულობის ბეჭედი აზის ამ სასიმღეროების მესამე ელემენტსაც. სამწუხაროდ, ქორ-ბეღელას მოცემულ ტექსტებში ეს ელემენტი ფრაგმენტებად არის წარმოდგენილი და დამატებითი მასალის ძიებაა საქირო მისი მთლიანი სახის აღსადგენად. რაც შეეხება ხევსურული ფერჯისაის სასიმღეროების შინაარსს, მასში მოცემულია ხთიშვილთა ბუნების დამახასიათებელი მხარეები და მოთხრობილია მათი საგმირო საქმეები.

როგორც აღვნიშნეთ, ქორ-ბეღელას და ფერჯისაის სასიმღეროები სრულდებოდა ხატში ანუ ჯვარში ფერხულის დროს. თუშეთში ხატის მამულის გარკვეულ ადგილზე, უფრო ხშირად მამაკაცების სადგომ ადგილზე, რაჟდენიშე კაცი მხარი-მხარს ვადაებმოდა და წრეს მართავდნენ. მეორე წყება მამაკაცებისა მათ მხრებზე შეადგებოდა და აკრეთვე მხარი-მხარს ვადაებმოდა. ეს ორსართულიანი წრე ნელის ნაბიჯით და სათანადო რიტმის დაცვით ხატის შენობისაკენ გაემართებოდა, თან მარჯვნივ ტრიალებდა და ქორ-ბეღელას სასიმღეროს ამბობდა. სასიმღეროს თითო მუხლს ორიპირად ამბობდნენ და, თუ სასიმღეროს ტექსტი მოთავდებოდა ხატის კარზე მისვლამდე, მას თავიდან გაიმეო-




რებდნენ. ზოგჯერ, როდესაც ცეკვის მოსურნე ახალგაზრდობა ბევრი იყო, ქორ-ბელელას ორ-სამ წრეს გააკებებდნენ. მაშინ თვითეული წრე რიგ-რიგობით იმეორებდა სასიმღეროს ერთსა და იმავე მუხლს ორჯერ — ჯერ ერთი წრე ორჯერ ერთ მუხლს იმღერებდა, შემდეგ ამავე მუხლს მეორე წრე ორჯერე გაიმეორებდა და ასე შემდეგ. ქორ-ბელელაზე თუში იკვლევდა თავის მომავალს: თუ ქორ-ბელელა იქცეოდა და სიმღერაც ირეოდა, მაშინ საქონელი და ადამიანი დაგვეხოცებაო და პირიქით, თუ ქორ-ბელელა კარგად მიდიოდა და სიმღერაც შეწყობილ-შეხმატკბილებული იყო, მაშინ საქმე კარგად წაგვივაო, ფიქრობდნენ ძველად თუშები. ხატის კართან ქორ-ბელელა იშლებოდა და სიმღერაც წყდებოდა.

ქორ-ბელელას სასიმღეროს ვარიანტებს ჩვენ ვხვდებით ხევსურეთშიც. ფერ-ხულს ვარდა აქ ამ სასიმღეროს, ისევე, როგორც საგმირო ხასიათის ლექსებს, ფანდურზეც ამღერებდნენ დასტურები ხატის ანუ ჯვარის შემობაში სხვადასხვა საღეთისმსახურო რიტუალის შეარულების დროს ცალ მუხლზე ჩოქით.

ხევსურული ფერჯისაიცი ხატის მახლობლად დგებოდა. მოცეკვავენი ერთმანეთს ხელიხელ გადაებმოდნენ და წრეს აკეთებდნენ. წრის მონაწილენი ორ გუნდად იყვნენ გაყოფილი და მათი მეთაურები წრეში ერთი-მეორის პირდაპირ იდგნენ. წრე დაიწყებდა მარჯვნივ ტრიალს, თან ნელის ნაბიჯით მიემართებოდა ხატის კარისაკენ და თან ფერჯისაის სასიმღეროს ასრულებდა. სიმღერას იწყებდა ერთი გუნდის მეთაური და მას მისი გუნდი ბანს აძლევდა, შემდეგ მეორე გუნდის მეთაური იმავე სიტყვებს გაიმეორებდა და მისი გუნდი-კი მას ბანს მისცემდა. ასე მღეროდნენ სასიმღეროს თვითეულ მუხლს ორ-ორჯერ და ხატის-კარის შორი-ახლო ფერჯისაი დაიშლებოდა და სიმღერაც შეწყდებოდა. ხშირად ეს ფერხული დღეობის დასასრულს ხატიდან წასვლის დროს იმართებოდა, წრე ხატის მოშორებით დგებოდა და სოკლისაკენ მიემართებოდა; მაშინ ამ ფერხულში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ქორ-ბელელას და ფერჯისაის სასიმღეროების გვერდით ჩვენ ვაქვეყნებთ დამატებით თუშური ლექსების ნიმუშებს ხთიშვილთა შესახებ. ისინი საყურადღებონი არიან როგორც თავისთავად, ისე ზემოაღნიშნულ სასიმღეროებთან ანალოგების მხრივ. ეს ლექსები ხალხის მეხსიერებაში სუსტადღაა შენახული და ამიტომ მეტად ფრაგმენტარულიები არიან.

არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი ხევსურული სასიმღერო ლექსებისა, რომლებსაც ამღერებდნენ ფანდურზე ცალ მუხლზე ჩოქით დასტურები ხატის დარბაზში რიტუალური პურობის დროს. ეს სასიმღეროები საგმირო ხასიათის ლექსებს წარმოადგენენ. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან ამა თუ იმ ხევსურის მიერ შესრულებული საგმირო საქმეები. ხევსურის ძველი რწმენით, ხატი თავის ყმებს თვით ეხმარება მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში, მათ წინ მიუძღვის, ან დასახმარებლად თავის „ლაშქარ-მწევართ“ დაადგენებს; ხატს ესაიმოვნება და ეაწყება, როდესაც მას „კაი ყმანი“ ჰყავსო. ამიტომ საგმირო ხასიათის სასიმღეროები ხატში განკუთვნილი იყო იმ ხთიშვილის გასარაობად, სასიამოვნებლად და გულის მოსაგებად, რომლის სახელობისაც იყო ესა თუ ის ხატი. საგმირო ლექსების წარმოშობის საკითხისათვის



საყურადღებო არის აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ხევსურეთში მხოლოდ საგმირო ხასიათის ლექსებს ეწოდება სასიმღეროები. სატრფიალო ლექსებს კი აქ სასიმღეროები არ ჰქვიათ, თუმცა მათ ჩვეულებრივ ფანდურზე ამღერებენ ხოლმე. ჩვენ აქ არ მოგვყავს საგმირო ხასიათის სასიმღეროების ნიმუშები, რადგან ჩვენი სამუშაო ამჟამად შემოვფარგლეთ ხუცობათა და ხთიშვილთა შესახებ სასიმღეროების ტექსტების გამოქვეყნებით.

თქმა არ უნდა, რომ მოტანილ მასალას ქართველი ტომების უძველეს სარწმუნოებრივ შეხედულებათა აღსადგენად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მათი ქრისტიანული იერისა, ამ ტექსტებს შემოუნახავთ წარმართული რელიგიის მნიშვნელოვანი ელემენტები. კერძოდ, ხუცობათა მიხედვით შედგენდება საღვთისმსახურო წარსათქმელების შემადგენელი კომპონენტები და მათი თანამიმდევრობა, ხოლო ქორ-ბეღელა, ფერჯისაი, მათთან დაკავშირებული და სხვა სასიმღეროები ხთიშვილთა შესახებ წარმართულ რელიგიურ წესჩვეულებათა და სოფლმხედველობის ანარეკლს წარმოადგენენ. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ აქ მოტანილი მასალა თავისებურ გასაღებს წარმოადგენს ქართველი ტომების უძველესი რელიგიის დასადგენად.

ქვემოთმოყვანილი ხევსურული და თუშური ტექსტები, რომელთა ბოლოში ჩამწერის გვარი და სახელი მოხსენებული არ არის, ჩვენ მიერ არის ჩაწერილი. მასალის შეგროვებაზე ვმუშაობდით: ხევსურეთში 1929 წელს და თუშეთში 1932 წელს. ორივე შემთხვევაში ამ მუშაობას ვასრულებდით სხვა ამოცანების შესრულებასთან ერთად. ხევსურეთში მასალა შევაგროვეთ მის სამივე ნაწილში: 1. ბუდე ანუ მირგვალ ხევსურეთში (ს. ს. ბარისახო, ხახმატი, ბაცალიგო და სხვ.), 2. მიღმახევე-შატილში (ს. ს. ლებაისკარი, შატილი და სხვ.) და 3. არხოტში (ს. ახიელი). მასალის კლასიფიკაციის მიზნით, და აგრეთვე იმისათვის, რომ ჩვენ მიერ შეგროვილი მასალა სრული ყოფილიყო, ჩვენ დავაგროვეთ ლიტერატურაში და ხელნაწერებში¹ გაბნეული მეცნიერულად ღირებული მასალა და მით შევავსეთ ჩვენი კრებული.

¹ ეს ხელნაწერებია: ს. იორდანიშვილი, ეთნოგრაფიული მოგზაურობა ხევსა და კახეთში, 1923 წ. (წინასწარი მოხსენება); სტ. მენთეშვილი, თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, 1932 წ. და ალ. ოჩიაური, ხევსურეთის ბალზური დღეობების კალენდარი, 1938 წ.; პირველი ორი ხელნაწერი ვკუთვნის საქართველოს მუზეუმს და ინახება მის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივში, ხოლო უკანასკნელი ხელნაწერი ენიმეი-ს საკუთრებას წარმოადგენს და ინახება მის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივში.



I. ხუმრობანი

A. პირის-ქარი (დაველოვნება, დამწყალობნება)

I. ხმისფული

ა) საკლავის დაკვლის წინ

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ ქრისტიანთა, დიდება მზესა-დ მზისმყოლთ ანგელოზთა.

დიდება, გამარჯვება თქვენდა, წმინდანო ანგელოზო! თქვენად სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ იყვას მოკსენებული სამსახური. თქვენ ემ სამსახურის მომკსენეთ ნუ მიიწყენთ, ნუ მიიძულებთა. რასაც მვარზე და გულზე გეძახდნათ, — იმაზედ გაუგონიდით. რასაც წყალობას გეთხოებოდნათ, — ის წყალობა უბოძვიდით. სხვან ხთისნასახნ თუ რაზედ უწყრებოდან, — მადლი, ხოიშან დაუთხოიდი, ამათ ყუდროშიგით კაც გეძახდან, — კაცს მუშატიდით ლონესა, ქონეს, ორფეგ-ოთხფეგს, თქვენ ზღენთა-დ ულუფად მუშატიებენ. ნურას მოხკერძებთ ამათ ყუდროში სენ-სასჯელს, საზიანოს, მტრის წმას, სიკვდილს; უშველიდით, გადაუგდიდით, სხვა ალაგ, ყუდრო გაუსწავლიდით. ამათ ყუდროშიგით ველთ გადიოდან-დ თქვენს ბედს უძახდან, დავლათს ეძახდან, — თქვენ ბედი, დავლათ დაახზირიდი, გახყვიდით, გაუმარჯვიდით, სახელ-სარგებელს მიავანნიდით. მტერს მიზდეგდან, — მისწიენიდი, მოსდეგდას ვინ, — გამახვეწნიდით, თქვენ კაბის კალთა დაუფარიდით, შინ მშვიდობით შამახვეწნიდით. ზაფხულობა მშვიდობით გადაუყრიდით, სთველ ლალიან-ბარაქიან ამაუყენიდი. თუ რა შავკოდვან ან ბნელსა, ან სისკარსა, ან ფეგის ნალითა, პირისქართა, იამან-მახვილითა, საბელ-სამხრითა, გზა-შარად ლაყითა, — შანაწყენ-შანაცოდვარ შაუნდეიდი, ზღენითა, სანთლით გადააჯდივიდი. თავის ლაშქარ თავის კარსა-დ თავის კამალას მიხკრიფნიდი. სხვან ხთის ნაბადებნ თუ რაზედ უწყრებოდან, — მადლი-დ ხოიშან დაუთხოიდი. ქარისა, მვრის ნაოფლარს ჯვარ დაუწყრიდით, ნივთი, ბარაქა დაუტანიდი. თქვენ თქვენი გამჩენი მორიგე ღმერთი არ მაგიწყენსთ, არ მაგიძულბსთ, თქვენ თქვენს მეხვეწურს ნუ მიიწყენთ, ნუ მიიძულბებთ. რასაც მვარზე და გულზე გეძახდნათ, — იმაზედ გაუგონიდი, ის წყალობა უბოძვიდით. ქრისტემ დაგიწერასთ ჯვარ თქვენ ზღენთა-დ სამსახურ. მეშველი, მწყალობელი იყვენით ქუდოსან-მანდილოსნისა, ორფეგ-ოთხფეგისა, ნამაშვრალ-ნამუშავრისა“.

ჩაწერილია ს. ბარისაბოში, კვირას ზატის ხუცის გ. კინკარაულის თქმით.



ბ) საკლავის დაკვლის წინ

„დიდება შენდა გიორგიე რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო, ნაღვარში მამურთალო! დღეს შენი გამჩენი ღმერთი არ მაგიწყენს, შენ მეხვეწურთ ნუ მიიწყენ. დღეს ჩოქის მამხრელთა, მადლის მამთხოვთა, სამსახურებ შამავსებელთა რასა მვარზე და გულზე გეძახდან,—ის წყალობა უბოძედიითა, მარიგეს ღმერთსა, დიდსა კვირას გამოუთხოდიითა. სინანულს თუ გეძახდან,—უღბინიდიითა. ვაჭირვების დღეს თუ გეძახდან,—გახყვიდი, გაუმარჯვიდი, სახელ-სარგებელს დაახმარიდი.

შენა სამთავროდ, გასამარჯვოდ, გიორგი რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო, შენ მეხვეწურთ შენ დავლათ დაახმარე“.

ჩაწერილია „ათენგეზობას“, ხაზმატის წმ. გიორგის ხატში, ს. ბისოში ხუცის ბ. ქეთელაურის თქმით.

გ) საკლავის დაკვლის წინ

„ხთისაგან გამარჯვება შენდა, გიორგი ნაღვრის-პირისაო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო. შენ შენი გამჩენი ღმერთი ვადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს.

მარიგეს ღმერთსა და დიდს კვირავს გახვეწებთ, თქვენ უშველეთ თქვენს მეხვეწეთ, საწარმართო ანგელოზნ დაყოლეთ, ეს ზაფხული შვიდობით დამდგარ შვიდობით ვადაყენეთ; თუ რა ხთისკრივ გამოდიოდა საჯერ-საზიანო საქმეი,—ნურას მახკერძებთ ნების ოფლ ალებით.

შენაც სამთავრო, შენაც გასამარჯვო, გიორგი ნაღვრის მეტურთალო“.

ჩაწერილია „ათენგეზობას“, ს. ბისოში ხუცის გ. ქეთელაურის თქმით.

დ) საკლავის დაკვლის წინ

„თქვენად სამთავროდ იყოს, გასამარჯვებლად, გიორგი რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო ნაღვარში მეტურთალო, ჯელოსან სამძიმარო, გიორგის მოდემოძვრენო მოვსენებული სამსახური, დღეს მახრილ ჩოქი, მათხოვილ მადლი. გეძახნა, გეხვეწებან მანდილოსნები, შენ ბედი, დავლათ დაახმარევი მანდილოსნებსა, თავისა ჯალაფობასა. რასა მვარზე და გულზე გეძახდან,—იმაზე გაუგონიდი; რასა წყალობას გეთხოვებისა,—ის წყალობა უბოძევი, მარიგეს ღმერთსა, დიდს კვირას გამოუთხოვიდი; სნეულზე გეძახდან,—სნეულს უღბინიდი, ლხენის წამალ დაყარიდი; რასა გულზე და მვარზე გეძახდან,—ის წყალობა უბოძევი, თავი პირწაღმა დაუბრუნიდი; რასა წყალობასა გამაელოდეს,—ის წყალობა უბოძევი; ხთისკრივთ თუ რა გამადიოდან სასჯელი, საზიანო საქმე კაცისა, საქონისა მივლავი,—ნუ მახკერძევი, სხვა ალაგ, ქალაქ მიასწავლიდი; წულისა მეხვეწურები იყვან,—წულს მათუმატევი; ვარისა, მვრის ნამაშვრალსა ნივთი, ბარაქა დაუტანიდი; მშვიდობით დამდგარიყვ ზაფხულობა, სთველ ღალიან, ბა-

რაქიან დაუყენიდი. შენისა სამთავროდ, გასამარჯვად დღეს მახრილ ჩოქი, მათხოვილ მადლი ამ სამსახურის პატრონისა, ამით ჯალაფობისა. ისმინე, გაიგონე, მღზენელი, მხოიშნელი, მეშველი, მწყალობელი იყავ, ძალო ხთისაო, მადლო სამწირველისაო“.

ჩაწერილია გ. ჩიტაიას მიერ სანადღეს ბატში, ამავე ბატის ხუცის თქმით.

ე) საკლავის დაკვლის წინ

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ ქრისტიანთასა, დიდება შხესა, მზისმყოლთ ანგელოზთა!

შენ შენი მორიგე ღმერთი გადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებსა,— იკადრე, აიტანე შენა სამთავროდ, გასამარჯოდა, ხთის კარზე მასახმარადა. შენს მეხვეწურს, ჩოქის მამხრელს, სამსახურის მამკსენეს სცევედი, ხფარევედი, შველდი, სწყალობდი. ავის დღისაი, ლაღის მტრისაი, მავნისა მარგისაი,— ყოვლისა უფარვიდი შენი კალთაი. თუ რა შაცოდეს, შაგაწყინეს უცოდრობით, უმეტრობით, პირისქარით, ფეგის ნალით, ყმა შაუწყენით, ბატონ შაუნდობარ არ იქნების მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი, მოკსენებული სამსახური! პირქუშო ცეცხლის ალიანო, დღეს მაგის ყუდროს ჯალაფობისაი, კაცისა, საქონისაი, ორფეკ-ოთხფეგისაი, ქუდოსან-მანდილოსნისაი, ნაშვრალ-ნამუშავრისაი მწყალობელიმც იყავ“.

ჩაწერილია ს. ბაცალიგოში, პირქუშის ბატის ხუცის ს. არაბულის თქმით.

ვ) სახლის განათვლის დროს

„ქრისტეო და ღმერთო, დასწერე ჯვარი ზღვენსა, სამსახურსა! ნურას ბაღინჯსა, კავატს დაუდვენებ სამსახურზე საქსენებს ანგელოზს!

ამ სამსახურითა გადიდნას ღმერთმა, გაგიმარჯვას, ყუდრო კარზე მდგომო ანგელოზო, გელის მდებელო-დ მგებელო. გეძახან, გეხვეწებიან ეს სამსახურის მკსენენი,— შაიხვეწენ, დავლათ დაახმარე. რასა მგარზე და გულზე გეძახდან, გეხვეწებოდან,— იმაზე გაუგონიდი. რასა წყალობას გთხოვდან,— იმ წყალობით შაინახიდი. თუ რა შაგაწყინან უცოდრობითა, უმეტრობითა, პირისქარითა, ფეგის ნალითა,— შანაწყენ აპატივიდი, ავს დღესთანით უშველიდი, ლაღს მტერსთანით გელი-დ ვმალ მტრისა ახადიდი, ვმა სიკვდილისა მათშორიდი, თავობით პურსა, წულს მაუმატიდი, კაცსა კაცრიულობას. წულ-ყმას გახვეწებდას,— უზიანოდ გაუზარდიდი, ბედ მარიგე ღმერთს მაუთხოიდი. დიდ კვირავს სხვან ხთისნასან თუ რას უჩიოდან, უკულმ უდგებოდან,— მადლი, ხოიშან დაუთხოიდი, თავად პირწალმ, გულწალმ დაუბრუნდიდი, ნების ზღვენ, სანთელ აატანიდი, ნების ოფლ ჯვარ დაუწერიდი, ასეულ მიწრიელ დაულაგმიდი. სნიულზე გეძახდან,— სნიულს ულხინიდი, შენ სანთელ, დიდება მაგემატების. თუ რა გამავილოდას ხთისკრით



ხთის იასაული ვმელთაზე ჯორციელთაზე, ბეგარ-ყალან ზიდევდას,—ნუ რა მახკერძიდი. სენი, სასჯელი, საკლო-საზიანო საქმე ელირებოდას რა, ეკერძებოდას რა,—მარტე დაღირებულ ვადააშორიდი, ავ საქმე კაზედ მაუქციიდი. ეს ზაფხული შშვიდობიანად გარდუყენიდი, სთველ ლალიან, ბარაქიან აბუყენიდი, ნაოფლარს ჯარისა, მკრისას ჯვარ დაუწერიდი, ხვაივი, ბარაქა დაუტანიდი, მექარ-მელალატე მაურიდიდი. ველთ თუ ვინ გავიდოდას მაგათ ყუდროით მეველე, მენადირე,—გახყვიდი, გაუმარჯვიდი, მტერზე, ნადირზე ჯელ მაუმართიდი, სახელ-სარგებზედ საენებ მარტე მააშორიდი.

შენად სამთავროდ, შენად ვასამარჯოდ, ყუდრო კარზე მდგომო ანგელოზო, შენ სამსახურის მაქსენეთად, ამათ თავ ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად შშველედი, მწყალობელი, მლხენეი, მხოიშნებელი იქნები. რაც ჩემით ენა-პირით მაქსენებას დაგაკლებ,—შენ შენს მეხვეწურთ შენს მწყალობას ნუ დააკლებ“.

ჩაწერილია ს. ლებანისკარში ამ სოფლის და ს. კისტანის ხატების ღვთისმშობლის, მთავარ-ანგელოზის და ნახარელას ხუცის ს. კინგარაულის თქმით.

ზ) სახლის განათვლის დროს

„შენა სამთავროდ, შენა ვასამარჯოდ ას, ყუდრო კრის დამქერო ანგელოზო, მოქსენებული სამსახური. ამით შენ ვადიდას ღმერთმა, შენ ვავიმარჯვას. შენ შენი ვამჩენი მერივე ღმერთი ვადიდებს, არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს,—შენ მეხვეწურთ ნუ მიიწყენ, ნუ მიიძულებს. რასა მქარზედა, გულზედ გეძახდან, გეხვეწებოდან,—იმაზედ ვაუგონიდი, შენი მწყალობით შაინახნიდი, ნურას მახკერძებ, ნურას დაღირებ. ავს საქმეს ეკერძებოდას,—გარდაუგდიდი, ავ საქმე კაზედ მაუქციინიდი, ზაფხულობა შშვიდობით ვადააყრიდი, ნაოფლარს, ნამაშვრალს ჯვარ დაუწერიდი, მაქარ-მალალატე მაუშორიდი. დღეს მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი, მოქსენებული სამსახური შენა სამთავროდ ას, შენა ვასამარჯოდ, ხთის კარზედ მასახმარად. შენ შენ მეხვეწურთად, მაგათ თავ ყუდროთ ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ორფეკ-ოთხფეკისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნაშვრალ-ნამუშვარისად, ბედისად, ბოლოსად, ყურთა მსმენელთად მეშველი, მწყალობელი, წალმამდეგი იყავ“.

ჩაწერილია ს. ლულში ა. არაბულის თქმით.

ბ) საკლავის დაკვლის წინ

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა ჯულ ქრისტიანთასა, მზესა, მზისმყოლ ანგელოზთა, დიდს კვირიასა, ხთის მადლის მაკარვსა!

დიდება-დ გამარჯვება შენდა, კელმწიფევე ხთიშობელო, ხთის საყვარელო ანგელოზო. გადიდებ, შენი გამჩენი ღმერთი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს შენის ვადენ შაძლებისად.

გეძახით, გეხვეწებით ლალის მტრისად, მწარის სიკვდილისად. ლალი მტერი და მწარე სიკვდილი აგვკადე, გადაგიგდე, ავ საქმე კაზე გაგიხდინე, კაცსა და კაცრიელობას მოგვიმატე, შენს სიდიდეს ემატებოდას. წულისად გეხვეწებოდათ,—წულ მარიგეს ღმერთს გამაგვითხოვე. წულს გახვეწებდათ,—ვკვდილიგძელე, კაის ბედისა და დავლათისა მაგიხდინე. ზაფხულ მშვიდობით ვადმოგვაყრევინე, სთველ ლალიან-ბარაქიან ჩამაგვიყენე, ვარისა და მვრის ნამაშვრალზე ჯვარ დაგვიწერე, მაქარ-მალალატე მაგვირიდე. მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი შენად სამთავროდ, გასამარჯოდ ას, კელმწიფევე ხთიშობელო, ხთის საყვარელო ანგელოზო. შენ შენის მეხვეწურისა სამეშლო-სამწყალობლოდ დიდისა-ცოტისადა, ორფეგ-ოთხფეგისადა, ქუდოსან-მანდილოსნისადა მეშველი, მწყალობელიც იქნები, სცევი, ხფარევი, შველი; სწყალობდი“.

ჩაწერილია ს. შატილში, ღვთისმშობლის ხატის ხუცის გ. კინკარაულის თქმით.

თ) სანთელ-სუფრა-ქიქა-ბარძიმზე

„გადიდებთ, თქვენი გამჩენი ღმერთი არ მაგიწყენთ, არ მაგიძულებთა, თქვენ თქვენს მეხვეწურსთ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთა. დღეს ჩოქის მხრელთა, მადლის მთხოვართა თქვენ მეხვეწურთ, სანთელ-სუფრა-ქიქა-ბარძიმთ მამსცენეთა ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთა. გეძახთ, გეხვეწებისთ სანთელ-სუფრა-ქიქა-ბარძიმთ მამსცენენი. რასაც მვარზე და გულზე გეძახანთ,—იმაზე აართვით, იმაზე გაუგონეთა. რასაც წყალობას გეთხოვებთან,—ის წყალობა უბოძეთა. კელიდ კმალ მტრისა აჯადეთ, ვმა სიკვდილისა მამაშორეთ. ზაფხულ მშვიდობით გარმააყრევინეთ, სთველ ლალიან, ბარაქიან ჩამაუყენეთა, ვარისა, მვრის ნამაშვრალ ჯვარ დაუწერეთ, ბარაქა დაუტანეთა. თუ ვინ გავიდოდას მაგის ყუდროთაი მგზავრი, მეგზავრი-დ თქვენ ბედსა, დავლათს ავსენებდას,—თქვენ ბედი, დავლათ დაავმარეთ, გახყევით, გაუმარჯვეთ, საგარეო საქმეზე კელ-მაუმართეთ, სახელ-სარგებელს მიაგანეთ, სავენებელ გადაუგდითა. მახრილი ჩოქი, მათხოილი მადლი თქვენად სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ ას, აქ ნაცსენებნ ანგელოზნო, მალალო ღმერთო, დიდო კვირეაო, მახვეწურთა სამეშლო-სამწყალობნელადა დიდისა-ცოტისადა, კაცისა-საქონისადა, ორფეგ-ოთხფეგისადა, ქუდოსან-მანდილოსნისადა მეშველი, მწყალობელიმც იქნები, მწყალობდე შენი სახელის მადლსა.

ივანე ოქროსპირისა სანატრელო ხთისა, დიდება ღმერთსა, დიდება ძალ ხთისასა, სამართალ კვირისასა, იმათთან ნაცსენებ-ნადიდებ ანგელოზთა, ჟამის მამკლებთა, სანთელთ მამდგომთა, ლოცვა-წირვის მასმინართა“.

ჩაწერილია ს. შატილში, ღვთისმშობლის ხატის ხუცის გ. კინკარაულის თქმით.



ი) საკლავის დაკვლის წინ

„დიდება ძალ ხთისასა, სამართალ კვირაისასა, იმათთან ნაცსენებ ანგელოზთა!... ივანე ოქროპირისა!... სანატრელ ხთისაო.

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელთასა რჯულთქრისტიანთასა!

ამ სამსახურითა შენ ვადიდას, ვაგიმარჯვას ღმერთმა, თავადო მთავარ-ანგელოზო. გეძახს, ვეხვეწების აპარეკა¹ თავით მდაბლითა, გულით მართლითა, ვახვეწებს თავსა, ჯალაფობასა. რასაც მვარზე და ვულზე გეძახდას,—იმაზე დაარქვიდი, იმაზე გაუგონიდი. რასაც წყალობას ვეთხოვებოდას,—ის წყალობა უბოძიდი, ნურას მახკერძებ ამის ყუდროსა სენსა, სასჯელსა, საზიანო საქმესა, ლაღს მტერსა, მწარე სიკვდილსა. თუ რა ეღირებოდესა,—ახვადიდი, გადაუგდიდი, ავ საქმე კაზე მაუჭინიდი. ბედისად მეხვეწურ იყვესა,—ბედი მარიგეს ღმერთს გამაუთხოიდი, დიდს კვირავს გამაუთხოიდი; გასაზღო, გასახარო წულ-ყმა მისციდი. წულ-ყმას ვახვეწებდას,—კაის ბედისა, დავლათისა მაუჭინიდი. ზაფხულობა მშვიდობით ვარმააყრევიდი, სთველ ლაღიან, ბარაქიან ჩამაუყენიდი. თუ სად ვინ ამის ყუდროთა ვავიდოდას, შენს ბედსა, დავლათს ეძახდას,—შენ ბედი, დავლათ დააქმარიდი, ვახყვიდი, გაუმარჯვიდი, საგარეო საქმეზე ველ მაუ-მართიდი!

შენაც სამთავროდა, შენაც ვასამარჯვადა, თავადო მთავარ-ანგელოზო, შენ სამსახურის მაჩენის სამეშველოდა, სამწყალობნელადა კაცისა, დიაცისა, ორფეგ-ოთხფეგისადა, ქუდოსან-მანდილოსნისადა იყოს მაცსენებული სამსახური“.

ჩაწერილია ს. შატილში მთავარ-ანგელოზის ხატის ხუცის ვ. კინკარაულის თქმით.

ია) საკლავის დაკვლის წინ

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი-ღ სახელი, მიქაელ მთავარ-ანგელოზო, შენა სამთავროდა და ვასამარჯოდა მაივმარე ეს ზღვენი, სამსახური, პირის საბანი, შენ მეხვეწურთა მეზღვეთადა და მამა-შვილებისადა! დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დღეს დღესინდელთა წმინდათ ანგელოზთა, ძალს ხთისასა, ძალსა და მადლსა კვირაისასა. დიდება-ღ ვამარჯვება შენდა ისევ მიქაელ მთავარ-ანგელოზო. გეძახ-გეხვეწებიან ეს მამა-შვილი, მე შენდ შამამიხვეწებიან, შენ შენს ვამჩენსა, მორიგესა დამრიგეს შახვეწნიო. ღმერთს იასაულნი ვამავიდოდან ხთისაგანა ვამაშობილნი, კვირათ სარდლობდან, ვორციელთ ბეგრევედანა, ყალანს იღებდანა,—შენ მეხვეწურთად ნუ მიხკერძება, ნებით ავდივიდი, სხვა ყუდრო, შარაგზა ვასწავიდი, იხვიენიდი, იხვეწიდი ავის დღისადა, ლაღის მტრისადა, მწარის სიკვდილისადა, საზიანო საქმისადა. ჩემგნი რაც ვსენებასა ვაკლდებოდასა,—შენს წყალობას მაუმატიდი მაგათ ყუდროჩია კაცისადა, საქონისადა, ქუდოსნისადა, მანდილოსნისადა, მაგათ თავისა-ღ ჯალაფობისადა, ყურთა-მსმენთადა.

¹ მსხვერპლის მიმტანის სახელი.

ღირსეულად შაიწირე, სამთავროდ, გასამარჯოდ მიიწმარე, თავო მთავრო-
ანგელოზო“.

ჩაწერილია გ. ჩიტაიას მიერ ს. ახიელის
ხუცის გ. ჯაბუშანურის თქმით.

იბ) *ლუდიან კოდზე

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელ კარის მე-
ზობელო, მოძმე მიქაელისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მიიწმარი ეს
კოდ-საფუარი, სადიდებელი, შენ ჯაბუშანურთად, მავათ თავისა-დ ჯალაფობი-
სად, კაცისად, საქონისად საშველოდ, სახოიშნოდ, საშწყალობნელოდ-მიიწმარი,
შენდ დღეობა, რიგის ყენება არ დაუკლავა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ,
ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ამინ, დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელთა ძალს
ხთისას, ძალს კვირაისას, დიდება-დ გამარჯვება შენდა, მიქიელ კარის მეზობე-
ლო, მოძმე მიქაელისაო. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძრიელას ამ კოდ-საფუარ-
ზედა, სადიდებელზე, ღმერთმა მაგკას ცამდინ სიმაღლე, ხლვამდინ სიმაგრე, შეველა,
რგება, ხოიშნობა შენ მეხვეწურთად ჯაბუშანურთად. გეძახან ჯაბუშანურნი, გე-
ხვეწებიან,— შაიხვეწნიდი. რასაც მჯარზედა, გულზე გიძახებდან,— იმ მჯარ, იმ გულ-
ზე გაუგონიდი; რასაც წყალობას გეთხოვებოდან,— გამჩენს ღმერთს დაუთხოიდი,
წინიზირად კაცის მეხვეწურნი კაცსა კას დროს მაუმატიდი, ღონე-ქონეს მაუმა-
ტიდი, შენთ ზღვენთა, დიდებათა მამემატების. ველთ ვინ გავიდოდას შენს მეხვე-
წურთ ჯაბუშანურთ ყუდროში-დ ბედსა, დავლათს შენს აქსენებას,— შენ ბედი,
დავლათ დააწმარიდი, შორს მყოფ ახლოს დაუხედიდი, შენ კაბის კალთა ჩაუ-
ფარიდი. სხვა ხთისნაბადებ თუ რა უწყებოდას, უმრუდდებოდას,— მაღლი
დაუთხოვიდი, სხვასთან უშეიდი, თაოდ უშველიდი, თაოდ გულწილმა, პირწილ-
მა დაუბრუნდიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჯორ-
ციელთ ბეგრებდან, ყალანს ილებდან,— შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებ,
ეკერძებოდას,— ნებით აქლივიდი, ნების ბეგარი გაატანივიდი, სხო ყუდრო, შარა
გაასწავლიდი, იხვიენიდი, შენ მეხვეწურნი იხვეწნიდი ავის დღისად, ლალის
მტრისად, საზიანოს საქმისად. ჩემგან რაც დიდება, ქსენება გაკლდებოდას,
მიქიელ კარის მეზობელო, შენს წყალობას მაუმატიდი. შენ ჯაბუშანურთად კა-
ცისად, საქონისად, ქედოსან-მანდილოსნისად მშველელი, მზხენელი, მხოიშნე-
ბელი, წალმა-მდეგომც ხარ, შველდი, სწყალობდი, სცევიდი, ხფარებდი, გამარ-
ჯვებას შენსა, შენის გამჩენის ხთისას“.

ჩაწერილია ალექსი ონიანურის მიერ (არხოტი).

ივ) ლუდიან თასებზე და შესაწირავ კვერებზე

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო მიქიელ მთავა-
რო ანგელოზო. შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მიიწმარი ეს სეფე-სან-
მასალეზი საქართ. ეთნოგრაფიისათვის



თელი, სადიდებელი, ნათევ ღამეი-დ. ნათელ-ბნელი შენ მეხვეწურთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსად, საგლებოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მიივმარი; შენ სამსახურ არ დაუკლავა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ; დაიცენი, დაიფარენ ველთაცა, შინაც, წელი ღალიან-ბარაქიან დაუყენე-დ ნამაშვრალ, ნამუშაელ მშვიდობას მავმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ა-ა-ა დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, დიდება ძალს ხთისასა, ძალს კვირაისას, დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო. ღმერთმა ვადიდას, ღმერთმა ვაძირიელას, ღმერთმა მაქცას ცამდინ სიმალღე, ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა შენის მეხვეწურისად, შენს საყმო-საგლებოსად. გეძახან, შენ მეხვეწური გეხვეწებიან,—შაიხვეწნიდი. რასაც მვარზე და გულზე გიძახებდანი,—იმ მვარ, იმ გულზე გაუგონიდი; რასა წყალობას გეთხოვებოდანი, გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხოიდი. მე შენდ შამამიხვეწებიან შენ მეხვეწური, შენ შენს გამჩენს მორიგეს დამრიგეს ღმერთს შაიხვეწნიდი წინძირა კაცის მეხვეწური. კაცსა კას დროს მაუმატიდი, ღონე, ქონეს მაუმატიდი, წელი მშვიდობისაი, ღალიან-ბარაქიანი დაუყენიდი. ველთ ვინ გავიდოდანი შენთ მეხვეწურთ ყუდროჩი, შენს ბედსა, დავლათს ავსენებდანი,—შენ ბედი, დავლათ დაავმარიდი; შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი. სხვა ხთისნაბადე მთუ რა უწყრებოდანი, უმრუდდებოდანი,—მადლ დაუთხოიდი, თაოდ უშველიდი, სხვასთან უშუიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდანი ხთისაგან გამაშობილნი, ჳორციელთ ბეგრებდანი, ყალანს იღებდანი,—შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებ; ეკერძებოდანი,—ნებით ავდივიდი, ნების ბეგარ ვაატანივიდი, იხვიენიდი, იხვეწნიდი ავის დღისად, ღლის მტრისად, მწარის სიკვდილისად, საზიანოს საქმისად. ჩემგნე რაც დიდებასა, ჳენებას ვაკლდებოდანი, მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენ შენს წყალობას მაუმატიდი. შენ მეხვეწურთად ახიელელთად ტახტის ყმათად საყმოსად, საგლებოსად, კაცისად, საქონისად, ჳედოსან-მანდილოსნისად, ყურთამსმელისად ჳშველდი, სწყალობდი, სცვედი, ხფარებდი. გამარჯვება შენდა, შენის გამჩენის ხთისად“.

ჩაწერილია ალექსი ოზიაურის მიერ
(აზობტში).

იღ) შესაწირავ კვერებზე

„ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ სახელ-სამართალი, ნავსენებნო ანგელოზნო! თქვენა სამთავროდ, ვასამარჯოდ მიივმარეთ ეს გარიგებული სეფესანთელი-დ ნათელ-ბნელი თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსად-დ საგლებოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მიივმარეთ; ჳარისად დადებულ უღელი-დ ვატანილ საჯნიელი მშვიდობით დამთავრებეთ, ბევრ მშვიდობის ვაზაფხულ მადგვარეთ, ღალიან-ბარაქიან წელ დაუყენეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ა-ა-ა დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელთა
 ძალს ხთისას, ძალს კვირიასას! დიდება-დ გამარჯვება თქვენდა, ნაქსენებო ანგე-
 ლოზნო. ღმერთმა ვადიდნასთ, ღმერთმა გაძრიელნასთ, ღმერთმა მაგცასთ
 ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა თქვენთ მეხვე-
 წურთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსად, საგლეხოსად. გეძახანთ თქვენ
 მეხვეწური, გეხვეწებიანთ, — შაიხვეწნიდით. მე თქვენდ შამამიხვეწებიანა-დ თქვენ
 თქვენ გამჩენს-მორიგეს დამრიგეს ღმერთს შაახვეწნიდით. რასაც მჯარზე და გულზე
 გეძახდნანთ, — იმ მჯარ, იმ გულზე გაუგონიდით. რასაც წყალობას გეთხოვობდნანთ, —
 გამჩენს მორიგე ღმერთს დაუთხოიდი, წინპირა კაცის მეხვეწური კაცსა კას
 დროს მაუმატიდით, ღონე-ქონეს მაუმატიდით. ველთ ვინ გავიდოდას თქვენის
 მეხვეწურის ყულროში, ბედსა-დ დავლათს თქვენს აჯსენებდას, — თქვენ ბედი, დავ-
 ლათ დააჯმარიდით, შორს მყოფნ ახლოს დაუხვდიდით, თქვენ კაბის კალთა
 ჩაუფარიდით, მიწრიელ-ქვეცირიელ დაულაგმიდით, მტერზედა, ნადირზე გაუმარ-
 ჯვიდით. სხო ხთისნაბადებ თუ რა უწყურებოდას, უმრუდდებოდას, — მადლ და-
 უთხოიდი, თოდ პირ-წალმ, გულ-წალმ დაუბრუნდიდით, სხო ყულრო, შარა
 გაასწავლიდით. ხთის იასაულნი გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, კორ-
 ციელთ ბეგრებდან, ყალანს იღებდან, — თქვენ მეხვეწურთ ყულროს ნუ მახკერ-
 ძებთ; ეკერძებოდას, — ნებით აჯღივიდით, ნების ბეგარ გაატანივიდით, იხვი-
 ნიდი, თქვენ მეხვეწური იხვეწნიდით ავის დღისად, ლალის მტრისად, მწარის
 სიკვდილისად. ჩემგნივ რაც ძახილსა, ჳსენებას გაკლდებოდასთ, თქვენ თქვენს
 წყალობას მაუმატიდით. თქენი მეხვეწურისად კაცისად, საქონისად, ქუდოსან-
 მანდილოსნისად, ყურთადმსმენისად მშველელი, მზხენელი, მხოიშნებელი, წალ-
 მამდეგნიმც ხართ; შველდითა, წყალობდით, სცევდითა, ხფარებდით. გამარ-
 ჯვება თქვენდა თქვენის გამჩენის ხთისად“.

ჩაწერილია ალექსი ოჩიაურის მიერ (არხოტი).

იე)¹ * *

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა რჯულ-
 ქრისტიანთა, დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა. შენად სამთავროდ, შე-
 ნად გასამარჯვოდ, ძალო ღვთისაო, ძალო წმინდა გიორგი კოპალესაო! შენ გე-
 ძახიან, გეხვეწებიან, შენ ნუ მოუწყენ და ნუ მაიძულებ ქრისტიან ხალხსა, შენსა
 მლოცავსა. დიდება შენდა, გამირო კოპალე, შენ გეძახიან და გეხვეწებიან ეს
 სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსანი.

— დაეხმარიდი ავის დღისად, ლალის მტრისად, მწარის სიკვდილისად; წული
 ვის ყავდეს გაუზარდეო, არა ყავდეს — და თუ ვინმე გეხვეწებოდეს, ღმერთსა
 და კვირიეს გამოუთხოვეო. სნულ ვინ ყვანდეს — ულხინეო და ლხენის წამალი
 დაუყარეო; მაიკილი დააშორეო, დაფარეო. ველა ვინ გავიდოდეს სახლიდგანაო:
 მეველე, მონადირე — გაჰყვით, გაუმარჯვეო.

¹ დ. გორჯღის სიტყვით, ეს ლოცვა დეკანოზს წაუკითხავს ხაზმატის, ანუ კოპალა ათენის
 ჯვარში ათენებნობა დღესასწაულზე. იგი ასე აგვიწერს ბუცობის მომენტს: „დეკანოზმა აკურთხა
 ლუდი: აილო ხელში დროშა, შედგა მალღობ ადგილზედ, გაიკიმა წელში, გადიტრიალა ხეცის-
 კენ თვალები და დაიწყო სახარების კილოზედ, გაქიანურებული და მოსაწყენის ხმით ლოცვა“.
 გაუგებარია მხოლოდ, თუ როგორ მოხდა, რომ გაიჯივებულა ორი სხვადასხვა — ხაზმატი-
 სა და კოპალას ანუ კარატის — ჯვარი.



მტერზედ სახელი მიეცითავ, ნადირზედ ვახშამიო. მაგათად შამოქციელსა ლალ მტერსაო და მწარე სიკვდილსაო გზა უქულმა უქციეთავ. წმინდაო გმირო კოპალავ! მაცილის საქმე ეღირებოდეთ მთასად და ბარსად, მაცილს დააშორი-დი; თუ სხვები ანგელოზები უჩიოდნენ, მადლი დაუთხოვე, ანგელოზებს სამსახური აართვი და ღთის კარზედ საქრთამოდ შაართვი. სხვანი ღთის შვილნი თუ რას უწყებოდნენ, მადლი ხოფანი დაუთხოვე; თითონ პირ-წალმივ და გულ-წალმივ დაუბრუნდი, უშველიდი; სახელიან სამსახურ ხთის კარს შაიტანიდი. ხთის კრით თუ რა იასაული ხთის ბძანებით გამოვიდოდეს, გმირო კოპალეო, შენით სარდლობით ხორციელზედ ბრუნდებოდეს, ამათ ყუდროს ჯალაფობას, ნუ მაჰკერძიდი; მეეკერძებოდეს—ახიდი, გადაუგდიდი. ავ საქმე მკაზედ კეთილად მოუქცივიდი; დაწუხებულს უშველიდი; შენთ ზღვენთა და ულუფად შეემატების. თქვენ თქვენის მეხვეწურისა, ამათ ჯალაფობისა, კაცისა, საქონლისა, მანდილოსნისა მეშველიმც იქნება“.

დავით გორელი, „ხანზატის ჯვარობა“, ივერია, 1889, № 271.

ივ)¹ **

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება და გამარჯვება, შენდა! რაც ღვთის დანაბადია, გეხვეწები შენ, შენს ბატონობას; შენ მორიგე ღმერთო, არ მოგიწყინო! შენს მეხვეწურსა, ჩოქის მომყრელსა, მადლის მომთხოველსა შენ ნუ მიიწყენ, ნუ მიიძულებ. რაც რომ გულზედ და მხარზედ გიძახებდეს იმაზე გაუგონე. შენ შენი ბატონი, შენ შენი მორიგე ღმერთი არ მოგიწყენს მეხვეწურსა, ჩოქის მომყრელსა, მადლის მომთხოველსა, ველთ გასულს გიძახებდეს, შეიხვეწე, მგზავრობა მშვიდობისა მიე, ავდარს გაუდარე, ლალს მტერთან ჩაუფარე, მიწრიელ დაულაგმე, შინ მშვიდობით მოიყვანე. თუ რამ გამოვიდოდეს ღვთის კარზედ გამოშვებული—ღვთის იასაული: ხორციელთ ჰბეგრევდეს, ყალანს ზიდევდეს, მაგის ყუდროს ნუ მიჰკერძებ, სხვა ყუდრო ალაგს მიასწავლე. შენ შენის ბატონობის მოხრილი ჩოქი, მოთხოვნილი მადლი შეიურვე. რაც მხარზედ და გულზედ გიძახებდეს კაცისა, საქონლისა ნაშვრალ-ნამუშევრისა მეშველი და მწყალობელიც იყავი“.

ამოდებულია „ივერიიდან“, 1879 წ. № 9, გვ. 145.

¹ უცნობ შემგროვებელს „ივერიაში“ დაუბეჭდავს სამი ტექსტი საერთო სათაურით „ხვეწურული დალოცვა ხვესურთა დეკანოზთაგან გაგონილი და მათი სიტყვით ჩაწერილი 1865 წ.“ ამას გარდა ცალკე სათაურები აქვს ორ ტექსტს: „ქორწინების დალოცვა“ და „მკვდრის დალოცვა“. უსათაუროდ არის დატოვებული აქ მოყვანილი ტექსტი. მისი შინაარსი გვაძლევს უფლებას, რომ ის პირის-ქარის რიგის სავედრებლებს მივაკუთვნოთ. გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის შესაწირავზე სრულდებოდა ეს სავედრებელი.

ამასთანავე აღვნიშნავთ რომ, როგორც აქ, ისე ვახუთებიდან ამოდებულ სხვა ტექსტებში შეცდომები მოიპოვება, რომლებიც არ გავისწორებია.

იზ) * *

„დიდება და გამარჯვება ძალ-ღვთისას, სამართალს კვირიასას; ძალი ღთისა ვწყალობდეთავ და სამართალი კვირიაესა. ამ ხატის მლოცავთ, ქუდოსან-მანდილოსანთა, პურს მოგიმატასთ, წულს მოგიმატასთ; კაცსა, საქონსა დაგვე-შველასთ, დაგეთარასთაო, კვლავ კეთილის გულით მოგიყვანასთავ ხატმა თავის კარზედაო. დიდება და გამარჯვება ამ კობალის ჯვარსაო. რომენიც ამის ნათავარზედ დიდდა დახსენდაო, იმის წყალობა თქვენ გქონდეს თავ-მელამისთეფნო, მამა-შვილებო, ძმანო! დიდება ახსენება, ღამის თევა; სიხარულათ ვაგინადოს რას წყალობას ეთხოვებით, ის წყალობა გიბოძოსთ, გიშველოსთ ლალის მტრისად, მწარის სიკვდილისადაო. საღმთოდ მაიხმაროსაო, თქვენი თავის სახსრად და სახიოშნელადაო.

ვილოცეო, კაითამ დაილოცე. ამ ხატს დიდებო, თქვენ თავს წყალობაო—ვილოცეო, ღვთისამც პირითამც დაილოცებითავ. დასტურნი, მსახურნი, უფროსი, ღმერთმა სტუმარ გიცოცხლოსთავ; სოფლებო! თქვენ თავ დაულოცასავ მას-პინძელსა ღმერთმაო“.

დავით გორელი, „ხხმატის ჯვარობა“, „ივერია“ 1889 წ. № 271.

2. თუშუბრი

იშ) საკლავის დაკვლის წინ

„დიდებულო ღმერთო და კვირეაო, წმინდა გიორგი ლაშარისაო, დიდად სადიდებულო, ძვირად სახსენებულო. შენ დიდებას არ დაღლევს როსტომი¹, შენს წყალობას ნუ დაუღევ.

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა. ღმერთო, გაუმარჯვე წმინდას გიორგის ლაშარისასა, დიდად სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა, მუხის-წვრის ანგელოზთა, ხალხთ ქარაენის მკრეფელთა, ოქროს სკამს მჯდომარეთა, ღთის პირის მეღვინესა, ღთის მესამსახურესა.

შენ გეხვეწება სამსახურის მომტანი თავის დაბლითა, გულის მართლითა, ნაძახებს გაუგონიდი, ნაქადებს არ გიმტყუნებს. შორს მყოფი ახლოს დაუხდიდი, დაიცინი, დაიფარიდი ზღვავის, და წყლის, და სენის, და სარჯელის, ლალ-მწარე სიკვდილისა. თავს თქვენ შეუტყიდითა, სხვა ქალაქ მააჩვენითა. ზამთარ შვიდობისა წალგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოღვვარეთა. აბჯარ აიღონ ვახ-შამისიით,—საენებელ მააშორეთა. აბჯარ აიღონ სახელ მისიითა, ტერს მის-დედენ,—მისწვენიითა, მოსდედენ,—გამააჯრწივნიით. ტრის ველთ ვმალ აღბადეთა, სიკვდილობას აუსუბუტებდითა. ტერსთან ქირს ნუ დაუკარავათ, სწორთან სამართალს.

¹ შემწირველის სახელია.



ლთის მესამსახურეთა დიდო ბედნიერ ანგელოზო, შენი საზღნოია, შენი სადიდებელია, სამწყალოზნო როსტომისა, იმის სახლ-ჯალაბობითა. ნურას ჩამაგდებ მტრის კვესა, სიკვდილის ხმასა, როსტომის სახლშია ყუდრობა. კაცი-თაც უზონოთ შეიწირიდი, გაჭირვებულს უშველიდი, სანეფეს ულხენიდი, შენ ნამათრახალზე შუაკაცად დასდგიდი, სამსახურ გაიტანიდი. სად შენ ბედ დოძახონ,—შორს მყოფი ახლოს დაუხდიდი, დაიცი, დაიფარიდი ზღვაის და წყლისადა, ლალ მტერისა, მდარე სიკვდილისა. თავს თქვენ შეუქციდი, გზა უკე უქციდითა, ზამთარ შევილობის წალგვარიდითა, ზაფხულ შევილობით მოღვვარიდითა, საენებელ მამორიდი, მტერსთან ჭირს ნუ დაუკარგავ, სწორთან სამართალსა. გარ-გუთან წალმ წალგვარიდითა, ყანა კა მოღვვარიდითა, შევილობას აკმიდითა, ღონესა, ქონესა მოუმატიდითა, პურსა პურის მკამელთა მოუმატიდითა, ცხვარსა ცხვარის კრავს მოუმატიდითა.

დიდო ბედნიერ ანგელოზო, შენი საზღნოია, შენი გასამარჯოია მოყენებული სანათლაგი, სანთელ-საწირავი, სამწყალოზნო როსტომისა, იმის კაც-საქონლისი მეშველი, მწყალობელი. დიდებულო ღმერთო, შენ უშველი სანთელ-კელეტრის შემომწირავსა“.

ჩაწერილია ს. დოჭუში.

თ) საკლავის დაკვლის წინ

„დიდებულო ღმერთო, ღმერთო და კვირავო, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელია სამწყალოზნო იორამისა¹, იმის სახლ-ჯალაფობისა.

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე წმინდა გიორგის ლაშარისასა, დიდათ სადიდებელსა, ძვირათ სახსენებელსა მუხის-წვერის ანგელოზსა, ხალხისით ქარაენით მკრეთალსა, ოქროს სკამ მჯდომარეთა, ღვთის პირის მელვინეთა, ღთის მესამსახურეთა.

დიდო ბედნიერ ანგელოზო წმინდა გიორგი, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელია მოყენებული სანათლაგი. მორიგე ღმერთს შასწირიდი, წყალობა გამოუთხოვე, ნურას ჩამაგდებ მაგათ სახლშია, მტრის ხელი და კმალ აჯადიდი, სიკვდილობას აუსიბუქდიდი, მტერსთან ჭირს ნუ დაუკარგიდი, სწორთან-სამართალსა; გარ-გუთან წალმ წალგვარიდი, ყანა კა მოღვვარიდი, შევილობას აკმიდი, ღონესა-დ ქონეს მიუმატიდი, პურსა პურის მკამელი მიუმატიდი, ცხვარსა ცხვარის კრავი მიუმატიდი.

დიდო ბედნიერ ანგელოზო წმინდაო გიორგი, შენი საზღვნოა, შენი სადიდებელი მოყენებული სანთელი სამწყალოზნეა იორამის, მეშველი, მწყალობელი იმის სახლ-ჯალაბობისა, აღიდოს იორამი“.

დამსწრენი ერთხმად შესძახებენ: „აღიდოს“.

ჩაწერილია ს. ჯვარბოსელაში.

¹ შემწირველის სახელია

კ) შესაწირავ კვერებზე

„აი დიდებულო ღმერთო, წმინდაო გიორგი, მთავარ-ანგელოზო გომეწრიდ მფარველო, მშველელო, მტრისი და სენის მაშორებელო, ბარაქი მძლეველო.

შენს კარზე მოვიდნენ შენი ძმები, ღვანან ქუდმოხდით, თავმოხრით თავი ცოლ-შვილითა. გთხოვენ ბარაქის მოცემას. გაუმარჯვე კარ-გუთან გამსვლელსა, ნაქნაფ-ნათესა ხვაე-ბარაქა მიეცი. გაუმარჯვე ცხვარ-მეცხვარე გამსვლელთა. გაუმარჯვე მოლაშქრე-მონადირე გამსვლელთა, მათორე მტერი და სენის აფ-ქარი. ორფევეს ორფევი უმატე, ოთხფევეს ოთხფევი უმატე. შენ დიდებას არ ივიწყებენ შენი ძმები, შენ წყალობას ნუ დაუღვევებ შენ ძმებსა. აღიდას და გწყალობდესთ“.

დამსწრენი ერთხმად შესძახებენ: „გწყალობდეს“.

ჩაწერილია ს. ჯვარბოსელაში
ხევის-ბერის კ. კინდოლურის თქმით.

კა) საკლავის და კვლის წინ

„დიდებულო ღმერთო, პირწამის სალოცავო.

თქვენთვის შემოგვიწირავს ეს რქა-ჯანგიანი. თქვენ დიდებას არ დაღვეს, თქვენ მორიგე ღმერთს შესწირეთ. რასაც წყალობას გთხოვებოდეთ, — ის წყალობა უბოძეთ, გეხვეწებიან თქვენ ქუდოსან-მანდილოსანნი. უარს გაუმარჯვეთ, ამათ სახლიდგან გასულსა, მონადირეს, მოლაშქრეს მარცხ-ფათერავი მათორეთ, მთის ნაქარი მათორეთ, ჭალის ყინული მათორეთ. ჩვენ ყანისა ბარაქა მიეცი, ამ სოფლის ორფევე-ოთხფევესა ხვაე-ბარაქა ჩაუღეთ. შენ დიდებას არ დაღვევთ, შენს წყალობას ნუ დაგვიღვევთ—გეხვეწებით.

გაუმარჯოთ აქ მრიალეთ სტუმრებს, მასპინძელს, ქუდოსან-მანდილოსანს, მშველელი, მწყალობელ იყოს, სწყალობდეს, გაუმარჯოს, სწყალობდეს“.

დამსწრენი ერთხმად: „სწყალობდეს“.

ჩაწერილია სოფ. აღისჯორის იახსრის
ხატში „ხეთანობას“ შულტის ვ. დვდარაძის თქმით.

კბ) შესაწირავ კვერებზე

„ბატონო ცვარიელო, გეხვეწებიან დადიკურთელები, მოსულან შენთან თავის დაბლით და გულის მართლით. მიეცი შინ მშვიდობა და გარეთ გამარჯვება. შენი წყალობა გაატანე ქუდოსან-მანდილოსანსა, ორფევე-ოთხფევესა. მიეცი შინ მშვიდობა და გარეთ გამარჯვება. მოლაშქრე მონადირეს, ცხენს, მხედარს ჯვარი დაუწერე. შინ მშვიდობა მიეც და გარეთ გამარჯვება. მატყეს, ფათერაკს მათორე, მთის ნაპრალს მათორე, ჭალის ყინულს გადაარჩინე.



შენ თავის მდაბლით გეხვეწებიან, გამარჯვებულო, ჯვარი დაუწერე კაცს, საქონსა, ხეავი და ბარაქა მიეცი ნახნავ-ნათესს, დეეშველე, დეტხმარე მთაში, ბარში, წყალობა მიეცი აქ შემომსწვრალ სტუმარს ქუდოსან-მანდილოსანს, იყავით მცველნი, მფარველნი, მშველელნი, მწყალობელნი აქ შემომსწვრალი სტუმრისა, ყურით მაყურებლისა. სწყალობდესთ, სწყალობდესთ, სწყალობდესთ“.

დამსწრენი ერთხმად: „სწყალობდესთ“.

ჩაწერილია ს. დადიურთაში „ანგელოზობას“ ნატო ბაბულაიძის თქმით.

კვ) საკლავის დაკვლის წინ

„წმიდაო ღმერთო, წმიდაო სამებაო, წმიდაო თვედორე, წმიდაო გიორგი, ლალო ლახტო, გმირნო კოპალნო, ნერგის ანგელოზნო, ღვთეო, ღვთის-მშობელო, ოთხი კუთხის მომველელნო, წმიდაო გიორგიე სპეროზისაო, წმიდაო გიორგი მაგვახისაო, წმიდაო გიორგიე ლაშარისაო, წმიდაო გიორგიე წყაროს-თვალისაო, წმიდაო გიორგიე ალავერდისაო, წმიდაო გიორგიე აწყვერისაო, ცხრა ოც და სამო წმიდაო გიორგიე თქვენ, უშველეთ ქუდოსანთ-მანდილოსანთა, ფურსა, მეფურესა, ვბოსა, მეგბორესა, ჯარსა, მეგუთნესა, ცხვარსა, მეცხვარესა, ცხენსა, მკედარსა, მონადირესა, ააშორეთ აღორებულ წყალსა, დაგორებულ ქვასა, მოქნეულ ხმალსა!...“

ივ. ბუჭურაული, „ტბათანიდან წოვთამ-დინ (მგზავრის შენიშვნები)“, მოამბე, 1897 წ., № 9, განკ. 6, გვ. 49.

3. ფშაშრი

კღ) * *

„ღმერთო! დიდების მეტი და მადლობის მეტი შენ არა მოგვხსენების. ღმერთო! შენია გაჩენილი ხენა, ხეწენა და ლალადება, თორემ ხმელზეთ ხორციელნი ხმას ვერ შემოგდებდენ.“

დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზს², დიდება შენთვის, თამარ დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს! თქვენ გადიდოსთ ღმერთმა, გაგიმარჯოსთ, თქვენი ხმალი, თქვენი სამართალი, თქვენ თქვენი გამჩენი ღმერთი არ მოგიწყენსთ, არ მოგიძულესთ; თქვენ თქვენს საყმოს ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ. საყმოშით ვინმე გეხვეწებოდესთ (სახელი სამსახურის პატრონისა), რასაც გულზე და მხარზე გადიდებდენ, გეხვეწებოდენ, იმ გულზედ, იმ მხარზედ შეიხვეწეთ, შეინახეთ; რასაც წყალობას გეთხოვებოდენთ, ის წყალობა ღმერთსაც გამოუთხოვეთ,

¹ ტექსტს ბოლო აკლია. ბუჭურაული ამ ტექსტს უწოდებს ქადაგობას, რომელიც წარმოუთქვამს დეკანოზს ინდურთელების სალოცავ სამების წმიდა გიორგის დღესასწაულზე სამხვეწრო კურატების დაკვლის წინ დროშით ხელში მდგომარეს.

² ლაშარის ჯვარია (ვ. ფშაველას განმარტება).

კვირასაც, და თვითონაც თქვენი წყალობა უყავით, პირველად წულს მღუმატეთ¹ ამ სახლშია, ღონე ქონესა, კაცსა კაცრიელობისა; მტრის ხელი ახადეთ, სიკვდილის ხმა მოაშორეთ, დაცვე-დაფარეთ ლალის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან. ნურას მიჰკრძებთ ღვთისაგან გამოშვებულს სევდა-სნეულობასა. სადაც თქვენი უღური დაიძახონ, თქვენი მოწალმართე ანგელოზი მოახმარეთ, თქვენი კაბის კალთა დააფარეთ; მოლაშქრეს გაუმარჯვეთ, ამით სახლშიით გასულს მონადირეს ხელი მაუმართეთ, მგზავრი მშვიდობით მაჰგვარეთ. წული ვინმე გთხოვოს, წული ღმერთსაც გამოუთხოვეთ, კვირასაც, და თითონაც თქვენი წყალობა უყავით; გასაზღო ვინმე შამოგახვეწოსთ, გაუზარდეთ, ქენით ეტლიან-დავლათიანი; სნეული ვინმე შამოგახვეწოსთ, სნეულს უღბინეთ, მაურჩინეთ. ზამთარი მშვიდობისა გადააყრინეთ და ზაფხულიც დალიან-ბარაქიანი ჩამაუყენეთ. ღმერთი, თქვენს ბატონობას გაუმარჯვეს; თუ მე რასმე მოხსენებას ვაკლებდე, თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, თქვენის გამჩენის ღვთისასა. ღირსათ აიტანეთ, ბატონო ბედნიერო, ღირსეულადა ხსნილად; კურთხეულადა დაკლული ზვარაკი, დადგმული ტაბლა, დაჰკრეთილი¹ სეფე, დასხმული ბარძიმი, მეშველი, მწყალობელიც იქნებით მზოიშნებელი, დიდება თქვენს ძალასა, თქვენს სამართალსა, თქვენის გამჩენის სამართალსა, თქვენის გამჩენის ღვთისაგან².

—ღმერთმა გაუმარჯოს,—დასძახებს ხალხი. ხევის-ბერი მობრუნდება ხალხისაკენ და იტყვის:

„მოგეცეს წყალობა რაც ადიდა, იხსენა იმათმა დავლათმა, თემო, სოფელო, ქუდოსანო, მანდილოსანო“.

ვაჟა ფშაველა, „ფშაველები“
„ივერია“, 1886 წ., № 39.

კმ) **

„დიდო ღვთის მშობელო, შენ გვედრებთან ყველანი ამ სამსახურის მომყვანი.² შენ შაიხეწიენ მართალნი და წმიდის გულით მავედრებელნი. ყოველნივე შეინახენით წყალობითა თქვენითა. ღმერთსაც თქვენ შაავედრეთ და გამოუთხოეთ წყალობა თქვენი თქვენის ტკბილის ანგელოზებით, თქვენ ნუ მააკლებთ თქვენს ტკბილს მოწყალე წყალობას, ამყოფენით თქვენნი ყოველნი მლოცველნი უპირველად, ტანისა და გულის დაუჯიგრადად, მინიკე იმათ შენი უხვი წყალობა, როგორც თქვენ იცით. თორო ჩვენ ხმელზეით ხორციელთაგან ვერა გესწავლებათ-რა, თქვენა ჰმძანდებით ყურითა ჩქრონი, თვალთა ფართონი, საცა რა გაჰირება ახედებოდეს ლალის მტრისაგანა, მწარე სიკვდილისაგანა, ეშმაკისაგანა, მაცდურისაგანა, თქვენ დაიფარეთ თქვენის საფარველითა, თქვენ გადააფარეთ თქვენი კაბის კალთაი, თაობას ღონე მღუმატე, კაცსა კაცრიელობა, თქვენ დაიფარეთ ლალის მტრისაგანა, მწარე სიკვდილისაგანა,

¹ დაბეჭდილია: დაწვრეთილი.

² ხევის-ბერი ანთებს ხატის სასანთლეში მლოცველებისაგან მოტანილს სანთლებს და ამწყალობებს ხალხს (დ. ხიზანაშვილის განმარტება).



მაცილისა და ყველა ბოროტისაგანა, ყველა სევდა, საზიანო საქმე მათორე, თქვენ გვედრებინათ, ყოველნო წმინდანო და ანგელოზნო უფლისანო, თქვენ მიანიჭეთ შამოდგომა ლალიან-ბარაქიანი, პურიან-წყლიანი, ზამთარი ნებისა, რგებისა, ზაფხული მშვიდობისა; რამდენიც ჩვენ ვერ დავლოცოთ ჩვენითა პირითა მთელი ამ ჩვენის სალოცავის მლოცველნი, თქვენ დალოცეთ თქვენისავე ტკბილის პირითა; თქვენ მოუმართეთ ხელი, მოლაშქრე-მონადირე იყოს შენი მხვეწნელი, ლაშქრობა-ნადირობაში გაუმარჯვე და ყველა მანადირებინე, წყემსი იყოს, თქვენივე წყალობა წინ წაუმძღვანეთ, მეგუთნე იყოს, ხარ-გუთანი გაუმართე, ნახნავე-ნათესს ბარაქა დაუდევნე; ობოლ-ქვრივი იყოს, საწყალ-საბრალო, მიე ნუგეში, ძალი ჭირთ დათმენისა და ყველაზედ წინ წააყენე; ტყვენი და ტუსალნი იყვნენ თქვენი მახვეწურნი, მიეცით ძალი ხსნისა; სნეული და ავადმყოფი იყოს თქვენი მახვეწური, დაიხსენი ყოველ სისნეულისაგან. წულს გთხოვდეთ, წული მიეცით გასაზრდო-გასახაროდა, რომ გული იმათი სჯერდეს და თქვენ გადიდებდეთ. თქვენამც დიდებული იქნებით თქვენის გამჩენის ლეთისაგან, რომელმაც ცა-ქვეყანა გააჩინა და მოჰფინა მზექლის შუქითა, ჩვენ ხმელზედ ცოდვილ ხორციელთ ჩაგვიდგა თავისი უკვდავების სული“.

პირ-აღმოსავლეთისაკენ მდგომარე ხევის-ბერი მობრუნდება ხალხისკენ და ეტყვის:

„მოგისხენოსთ ემ ჩვენ სალოცავმა, მოგანიქოსთ ყველას კეთილი და მოცუეთ წყალობა თავისი დასტურთა, მსახურთა და ყველა აქ მდგომარე მოხვეწართა. წადით, დასტურებოთ, ქადა-პურები დასქერით, ყველას თავისი რიგი მიეცით და სტუმრებს გაუმასპინძლდით“¹.

დ. ხიზანიშვილი, „ფშავეთი და ფშაველები“, „ივერია“, 1890 წ., № 82.

B სადიდებელთაი (სადიდებო, ჯვარშლი)

1. ნეხსურული

ა) * *

„დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა. დიდება დიდ კვირასა მალის ხთის მოკარესა! ხთისაგან გამარჯვება შენდა, შენის გამჩენისაგან.

სახმთო ბერო ბაადურო, წინა კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს.

მეორე კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, წმიდაო ხთიშობელო.

მესამე კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაო ხთისგან კარავიანო.

¹ დედანში ამ ლოცვას წინ უძღვის ტექსტი, რომელიც სადიდებლოს წარმოადგენს და ამიტომ ის ჩვენ გადავტანეთ ხუცობათა მეორე ჯგუფის წარსათქმელებში (იხ. გვ. 285, 286).

აემ კიქა-ბარძიშხედა, შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, მსახმარ-სახმარ ტეს მდგომო ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, პირქუშო პირ-ცეცხლიანო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, გმირო კობალავ, ლალო ლახტიანო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, მთავარო მთავარ-ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, წმიდაო ხთიშობელო ადგილის დედაო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, კვირია თელანერგისაო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, სანება ახოსწვერისაო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, გიორგი წყაროსთავისაო.

აემ კიქა-ბარძიშხედა შენ გადიდას და შენ გაგიმარჯოს, ხელო სამძიმარო ჯუღიან-უჯუღოთ სალოცავო.

აემ კიქა-ბარძიშხედა თქვენ გადიდასთ და თქვენ გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთისანო, ხთიშობლისანო.

ხთისაგან გამარჯვება თქვენდა, ხთისგან ნაცსენებო ანგელოზნო, თქვენ დიდის შაძლებისა, თქვენ დიდის გავედისა. თქვენ თქვენი მორიგე ღმერთი გადიდებთ, გაძლიერებთ, არ მაგიწყენთ, არ მაგიძულებთ; თქვენ თქვენს მეხვეწურს, კიქა-ბარძიშხის, სანთელ-საწირის მამვსენეს, კოდისა, ბადაგისა მამვსენეს ნუ მაიწყენთ, თქვენთ ვსენება-დიდებას მეგმატების. სცევი, ხვარევი ავი დლისად, მწარი სიკვილისად, მონისად მავნისად. შევლდი, სწყალობდი მაგათ თავს ყულროს ჯალათობისა, მაშვრალ-ნამუშავლისა კაცისა, საქონისა მეშველიმც, მწყალობელიმც იქნები.

მოგცას წყალობა ნაცსენებ ანგელოზთა სახლისა ყულროთ პატრონს“.

ჩაწერილია ს. ლულში, გ. არაბულის თქმით.

ბ) * *

„წინას კიქა-ბარძიშხე, მაღალო ღმერთო, შენ გადიდას.

მეორეს კიქა-ბარძიშხე, დიდო კვირე, შენ გადიდას.

მესამეს კიქა-ბარძიშხე, წმინდა გიორგი, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, კვირე თელის ანგელოზო, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, ლალო-ლახტიანო, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, სანება ვმელის-გორისაო, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, თეთრო გიორგი მინდორისაო, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, გიორგი ნაღვრის-პირისაო, შენ გადიდას.

აემ კიქა-ბარძიშხე, გიორგის თავადო, კელო სამძიმარო, შენ გადიდას.



აემ კიქა-ბარძიშზე, სანებაო ახოს-წვეერისაო, შენ გადიდას, შენ გადიდას,
 აემ კიქა-ბარძიშზე, ხთიშობელო ადგილის დედაო, შენ გადიდას.
 აემ კიქა-ბარძიშზე, კმალაო თავარ-ანგელოზო, შენ გადიდას“.

ჩაწერილია გ. ჩიტაიას მიერ. ს. ხახმატში
 ა. ქეთელაურის თქმით.

გ) * *

„პირველ კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, მალალო ღმერთო.
 მეორე კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირია მალლიანო.
 მესამე კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგი ნალერის-
 პირისაო.
 აემ კიქა-ბარძიშზედა თქვენ გადიდათ, გაგიმარჯოსთ, ჳევსურეთელნო ხთი-
 შეილნო.
 გიორგივ, გიორგის ლაშქარ-აზადნო, თქვენ გადიდათ ღმერთმა, გაგიმარ-
 ჯოსთ“.

ჩაწერილია ხახმატის ხატში „ათენგენო-
 ბას“ ხახმატის ხატის ხუცის
 გ. ქეთელაურის თქმით.

დ) * *

„წინა სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, მალალო
 ღმერთო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირია ხთის
 კარზე კარაიანო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ლუბისთავ სვე-
 ტის ანგელოზო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ხთიშობელო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, სახმთო-სახატეს
 მდგომო ანგელოზო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხ-
 ლის-ალიანო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გმირო კოპალავ
 ლალო ლახტიანო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თავადო მთავარ-
 ანგელოზო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ხთიშობელო
 ადგილის დედაო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კვირავე თელის
 ანგელოზო.
 აემ სანთელ-კიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, სანებაო ავოს-
 წვეერისაო.“

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიშედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგიე წყაროს-თავისაო.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიშედა თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთიშობლისანო.

აემ ჭიქა-ბარძიშე, სანთელ-სალაღებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგიე ნაღვრის-პირისაო“.

ჩაწერილია ს. ბარისაზოში კვირიას ხატის ზუცის გ. ჭინჭარაულის თქმით.

2) * *

„წინა ჭიქა-ბარძიშედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ღმერთო მალალო.

მეორე ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს, კვირიავ ხთის მაკარეო.

მესამე ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს, სახმთო ღუბისთავ სვეტის ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხლის-ალიანო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირქუშო ალვის ტნისად მყოლო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, პირქუშო მდღერბასეო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ, პირქუშ მოლაშქრე-მორაზმენო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თერთო გიორგი მინდორისაო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგი აზადო ჭავჭავის ჯვარისაო.

აემ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თავადო მთავარ-ანგელოზო“.

ჩაწერილია ს. ბაცალიგოში პირქუშის ხატის ზუცის ს. არაბულის თქმით.

3) * *

„ქრისტეო ღმერთო, დასწერე ჯვარი ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა, ბალნიჯსა, კვატსა, ძალს ხთისასა, სამართალს კვირიასასა, იმასთან ნავსენებ ანგელოზთა. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა.

პირველ ჭიქა-ბარძიშითა, სანთელ-სუფრითა, თავითო-ნათავრითო ღმერთო, შენამც იდიდები, შენ ძალი, შენ სამართალი.

აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიშითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდო კვირვა ხთის მადლის მაკარეო.



აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, თავადო მთავარ-ანგელოზო, რჯულიან-ურჯულთო სალოცავო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, მარიემ წმიდაო დედაო ხთისაო.

აემ კიქა ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, კებ-მენავედრევე ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, ჭელმწიფე ხთიშობელო.

სამით სანთელ-კიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, ბორაყ ალვის-ქრისად მყოლო ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, კობალავ წვერის ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი მუხის ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი ნალერის-პირისაო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი ნაჭეშ მახურთალო ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი სომხოზ გორისაო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, მედერბასევე ანგელოზო, ჟამის მამკლებო, ლოცვა-წირვის მასმინარო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, ქვაბ-საკიდელზე მდგომო ანგელოზო.

აემ კიქა-ბარძიმიტა, სანთელ-სუფრითა თქვენ გადიდას-დ გაგიმარჯოს ღმერთმა, მთავარ-ანგელოზის ლაშქარნო.

დიდება ძალ ხთისასა, სამართალ კვირაისასა, იმასთან ნაქსენებ ანგელოზთა“.

ჩაწერილია ს. შატლიში მთავარ-ანგელოზის ხატის ხუცის ბ. კინკარაულის თქმით¹.

ზ) * *

„წინა კიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, მალალო ღმერთო.

მეორე სანთელ-კიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, დიდო კვირეა.

მესამე კიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ჭელმწიფე ხთიშობელო.

აემ კიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თავადო გორის ანგელოზო.

¹ გამოქვეყნებულია ნაშრომში; В. Бардавелидзе, Опыт социологического изучения хевсурских верований. Тф., 1932 წ.

ემე კიქა-ბარძიშხელა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, ლალო განძის ანგელოზო.

ემე კიქა-ბარძიშხელა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, კილდის გორს ზღუბლის ანგელოზო.

ემე კიქა-ბარძიშხელა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, თავადო მთავარ-ანგელოზო, რჯულიან-ურჯულით სალოცავო.

მაგ სანთელ-კიქა-ბარძიშხელა გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი მექენგორ მახურთალო ანგელოზო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, სახითო ღუბისთავ სვეტის ანგელოზო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კობალავ წვერის ანგელოზო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი მუხის ანგელოზო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი ნაღვარ მშვენიერო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, შედარბასეო ანგელოზო.

მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ქვაბ-საკოდლის ანგელოზო.

მაგათ თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, ხთიშობლის ლაშქარო, ხოდბურჩი ზორაზმენო ანგელოზო.

სამა საწულ-კიქა-ბარძიშხელა შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ნაგარელა ზღუბლ-ანგელოზო“.

ჩაწერილია ს. შატბელი ღვთისმშობლის ხატის ხუტის გ. ჭინკარაულის თქმით.

(ღ) * *

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, სამართალი ამ კიქა-ბარძიშხელა, სეფე-სანთელზედა, კოდ-საფურაზედა, ნათელ-ბნელზედა, ღამისთევაზედა, მიქელ მთავარ-ანგელოზო, შენ შეხვეწურთა საყმოთადა, საგლეხოთადა, მაგათ თავისადა ჯალაფობისადა.

მაგ კიქა-ბარძიშხელა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, მიქელ წყაროს-თავისაო, მოძმე მიქელისაო.

მაგ კიქა-ბარძიშხელა გადიდას, გაგიმარჯოს, კვირაო ძალო-ხთისაო, ხთის კარზე მარულო საბამ-კარავეიანო. — გწყალობდესთა“.

ჩაწერილია ს. ახიელში, ხუტის გ. ჯაბუშანუოს თქმით.

(თ) * *

„ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქელ მთავარო ანგელოზო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიგმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი, შენ ახიელელთად, ტახტის ყმათად საშველად, სახიონოდ, სამწყალობნელოდ მაიგმარი, ხთის კარზე შიიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, შთის ვეზავ წყაროს-თავისაო, მოძმევ მიქეელისაო. ღმერთმა გადიდას ამ სეფე-სანთელით, ღმერთმა გაძრიელას. შენა სამთავროდ, გასამარჯოდ, მაივმარი ეს სეფე-სანთელი, შენ ახიელელთად საშველო-სახიოშნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯევებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კვირაევ ძალო ხთისაო, ძალო და მადლო კვირაისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯვოდ მაივმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. საშველოდ, სახიოშნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარი შენ ახიელელთად, მავთ თავისად ჯალაფობისად. ხთის კარზედ შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯევებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ჯაბეველო ხმელის გორისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად სახიოშნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას აღიდებსა-დ აძრიელებს.

ამ სეფე-სანთელზე თქვენ გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, მიქეელის მწვევარნო, მწკალ-სისხლიანნო, საკიდლიანო. თქვენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაივმარეთ ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახიოშნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ, აგრემც თქვენს ძალასა-დ დიდებას მამემატების.

ამ სეფე-სანთელზე თქვენ გადიდნასთ, გაძრიელნასთ ღმერთმა, მიქიელის ლაშქარნო, ხთისაგან გამაშობილნო, ხთისაგან წყალობა ნაქნარნო. ღმერთმა გადიდნასთ, ღმერთმა გაძრიელნასთ. თქვენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაივმარეთ ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველოდ, სახიოშნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ, ღმერთი თქვენს ძალსა, დიდებას მამემატებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ლალო იავსარო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახიოშნოდ, სამწყალობნოდ მაივმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენიმც ძალი, სახელი დიდდებისა, ჯსენდების.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, იავსარ სეცტად ჩამასულო. ღმერთმა გადიდასა, ღმერთმა გაძრიელას. შენა სამთავროდა, გასამარჯოდ მაივმარი/ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, ტახტის ყმათად საშველად, სახიოშნოდ, სამწყალობნოდ მაივმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯევებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, პეტრეო ნაღვრის-პირისაო. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძრიელას. შენა სამთავროდა, გასამარჯოდ მაივმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველოდ, სახიოშნოდ, სამწყალობნოდ მაივმარი, შენ ძალსა, დიდებას მამემატების, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯევებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ წყალ-
შუისაო, მოძმე მიქიელისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს
სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად სა-
შველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაივმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენიმც
სახელ დიდდებისა, ქსენდების.

ამ საფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ ქიშვე-
ლისაო, მოძმე მიქიელისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს
სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად
საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს
ბატონობას გაუმარჯვებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ლალანგურ
წმიდაო გიორგიო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს სეფე-სან-
თელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად,
სახოიშნოდ, სამწყალობნოდ, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას
გაუმარჯვებს.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგივ ნალორ-
შენიერო, რჯულიან-ურჯულიოთ სალოცაო. შენა სამთავროდ, შენად გასამარ-
ჯოდ მაივმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის
ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი,
შენიმც ძალი, სახელი დიდდებისა-დ ქსენდების.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ვმრო კობა-
ლავ ლახტიანო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაივმარი ეს სეფე-სანთე-
ლი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად,
სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, შენიმც სახელი დიდდები-
სა-დ ქსენდების.

ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდო სახმთოო
გუდანის ჯვარო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯვოდ მაივმარი ეს სეფე-სან-
თელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშვე-
ლოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაივმარი, შენიმც ძალი, სახელი დიდდე-
ბისა-დ ქსენდების“¹...

ჩაწერილია ალექსი ოჩიაურის მიერ (არხოტი).

2. შ შ ა შ რ ი

ი) * *

„ღმერთო, წინა ძალი და ბრძანება შენია, შენ გააჩინე და აკურთხე ცანი
და ქვეყანანი, შემოსე მოსილებითა შენითა, აკურთხე ხმელზედ ხორციელი,

¹ ასე გრძელდება მთელი ხევსურეთის სალოცავების ბსენება თვითთულ სასანთელზე
ცალ-ცალკე (აღ. ოჩიაურის განმარტება).

ჩაუდგი თავის უკვდავი სული, თორ ხმელზედ ხორციელთაგან ერთის არა მოიგონებოდა და ვერვინ რას შემოგკადრებდით. დიდება შენდა ძალო ღვთისაო; დიდება შენდა, კვირაო კარავიანო, ღვთის და მეფის კარზედ მდგომელო, სიმართლის პასუხის გამცემელო ღმერთთა და წყალობის გამომტანელო ხმელზე ხორციელთათვის;

დიდება შენდა, დიდო ხემწიფეო, წმინდა გიორგი ლაშარის ჯვარო;

დიდება შენდა, დიდო თამარ-მეფეო, ზემდგომო ანგელოზო;

დიდება შენდა, კობალავ შევნიერო;

დიდება შენდა, მთა-წმინდის მთავარ-ანგელოზო, დამასტეს წმინდავ გიორგიო, ხოშარის სახუთმეტო მთავარ-ანგელოზო;

დიდება შენდა, დედაო ღვთის-მშობელო, კიჩოს ბატონ-პატრონო;

[დიდება შენდა] სვეტი-ცხოველო;

[დიდება შენდა] კიდევ ღვთის-მშობელო, ყოველთა წმინდათა შუამდგომი;

[დიდება შენდა] წმინდა გიორგი, მგზავრო ანგელოზო, ხახმატის ჯვარო;

[დიდება შენდა] ლომისის მთავარ-მოწამეო;

დიდება კიდევ შენა, დიდო ღვთის-მშობელო და ძეო იმისავ და იმათთა ეველა თანამართლო, ყოველნო, მოდენ-მოძმენო და მოთანახმენო წმინდანო ანგელოზნო¹.

დ. ზიზანაშვილი, „ფშავეთი და ფშაველები“, „ივერია“, 1890 წ., № 82.

3. მთიულური

ია) **

„დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, მოწყალე მოსამართლე ღმერთსა. ღმერთმა გაუმარჯოს ხელმწიფეს წმინდა გიორგის პირიშუე ახალციხისას, გაუმარჯოს მის მოძმე და მოძხრე ანგელოზებს.

ღმერთმა გაუმარჯოს კვირიეს ძლიერსა და დუმაცხოს სამღვთო მაღალსა.

გაუმარჯოს დიდ წვერის ანგელოზს, დიდ იალბუზზე დამბრძანებულსა.

გაუმარჯოს ზეგარდის წმინდა გიორგის, ზენა სოფელს დაბრძანებულსა.

ღმერთმა გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს ყმის მეშველსა და უყმოსაც დამშველებელსა.

გაუმარჯოს ჩოხის წმინდა გიორგის ცირასებს ჩამობრძანებულს, ჩოხთ დაბრძანებულს.

გაუმარჯოს საბურთველოს წმინდა გიორგის და ზანდუკის მთავარ-ანგელოზს.

გაუმარჯოს ძლიერსა ლომისას, ხორეშანთ ტყვეთა მხსნელსა.

გაუმარჯოს ლუდას ყოვლად წმინდას ქვაწულად მქცეველსა.

გაუმარჯოს წიფორის წმინდა გიორგის ძეთა და წულთა მომცემსა.

გაუმარჯოს საქართველოს ყველა ხატებსა და სალოცავეებსა“.

ს. მაკალათია, „მთიულეთი“, 1930 წ.

ტფ., გვ. 161—162.

¹ ტექსტის გაგრძელება გამოვეყენე და მოვათავსეთ ზუცობათა პირველი ჯგუფის წარსათქმელებში (იხ. გვ. 277, 278). აქ კუთხედ ფრჩხილებში მოცემული ჩვენ მიერაა აღდგენილი.

იბ) * *

„ღმერთო, გაუმარჯვე დუმაცხოს სამღვთო მალალსა.
 გაუმარჯოს წვერის ანგელოზს, შეეწიოს ყმათა და უყმოთა.
 გაუმარჯოს წმინდა გიორგის წიფორისასა.
 გაუმარჯოს კვირიას ხორციელს ხელუხლებელსა.
 გაუმარჯოს მთავარ-ანგელოზს.
 გაუმარჯოს პირიმზე ახალციხით მობრძანებულსა.
 გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს, ყმის მეშველს, უყმო ყმის დამშველს.
 გაუმარჯოს ჩოხის წმინდა გიორგის ცირასებ ჩამობრძანებულს, ჩოხს დაბრძანებულს.
 გაუმარჯოს ხახმატის ჯვარს, გიორგი მგზავრო ანგელოზს.
 გაუმარჯოს ლომისას ხორასანს ტყვეთა დამხსნელსა.
 გწყალობდეთ, ხალხნო, ჩემი ხმის გამგონეო“.

ს. მაკალათია, „მთიულეთი“, ტფ.,
 1930 წ. გვ. 158.

იგ) * *

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა.
 ღმერთო გაუმარჯვე ფუძის ანგელოზსა.
 [გაუმარჯვე] დიდ პირიმზეს იალბუზზე ბრძანებულს, უყმო ყმის მეშველს,
 ორი წყლის ბატონ-პატრონსა.
 გაუმარჯოს ფუძის ანგელოზსა ჟამ-უჟამოდ მოარულსა, მკლავსა იმისასა და
 ლახტს იმისასა.
 გაუმარჯოს გმირსა კობალესა ფუძის ანგელოზის მოძმე-მომხრესა.
 გაუმარჯოს დუმაცხოს სამღვთო მალალსა და თავის ყმათ დამხედვეთ
 წვერის ანგელოზსა.
 გაუმარჯოს ფშარაველს მთას ლალსა, წვერის ყარაულსა, თავის ძმათა და
 ყმათა ზედამხედველსა, ჩვენის ბატონ-პატრონის შემნახავსა.
 გაუმარჯოს მალაწალ წვერის ანგელოზს, ჩვენის ფშარაველის მოძმე-მომ-
 ხრესა, დიდ იალბუზზე ბრძანებულს, ძმათა ყმათ მოიხედესა.
 იმათო ძალაო, სამართალო ღვთისაო, უშველე ნიკუასა, თავს გახვეწებს,
 თავის ცოლსა და შვილსა, რასაც გულზე და მხარზე გეხვეწებოდეს, ისე უშველე,
 გაუმრავლე საქონელი, ხიზანი¹...“

ს. მაკალათია, „მთიულეთი“,
 ტფ., 1930 წ., გვ. 162.

¹ მეცნიერული ინტერესის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს როგორც სამწუხარო ფაქტი, რომ ს. მაკალათიას მთიულური სალოცავ-სადიდებლებიდან თითქმის არც ერთი ტექსტი მთლიანი სახით გამოქვეყნებული არა აქვს.

3- მონეტარი

იღ) **

- „დიდება ღმერთსა და მოწყალესა.
 დიდება ჰქონდეს სამებას ერთარსებას.
 დიდება ჰქონდეს ბეთლემის ყოლაწმიდას.
 დიდება ჰქონდეს ნინო წმიდასა.
 დიდება ჰქონდეს ყირენის წმიდა გიორგის, მაღალ მთებში დიდებულსა..
 დიდება ჰქონდეს ოხარეშის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს ნათლისმცემელს.
 დიდება ჰქონდეს კვირე ღვთის შვილსა.
 დიდება ჰქონდეს ბახტრის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს ჯარჯის¹ წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს შემლის ნათლისმცემელს.
 დიდება ჰქონდეს ქუშეთ წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს ბურთუ სავანესა.
 დიდება ჰქონდეს სპარსთ ანგელოზთა, ჰოსეთით მობრძანებულსა.
 დიდება ჰქონდეს ახალციხის ყველაწმინდას.
 დიდება ჰქონდეს ღალანგის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს არშის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს გარბნის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს მამა წმიდასა.
 დიდება ჰქონდეს კობის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს ლომისა მთავარ-მოწამესა.
 დიდება ჰქონდეს ლუდის ყველაწმიდასა.
 დიდება ჰქონდეს დუშეთის სამებასა.
 დიდება ჰქონდეს ქალაქის ღვთიშობელსა“.

ჩაწერილია ს. იორდანიშვილის მიერ 1923 წ.
 ხევში 83 წლის აბა არაბულის თქმით.

იე) **

- „დიდება ღმერთსა და მაღლი ღმერთსა.
 დიდება ჰქონდეს წმიდა სამებასა.
 დიდება ჰქონდეს ყინვარაში ბრძანებულთ ანგელოზთა.
 დიდება ჰქონდეს ყირენის წმიდა გიორგის.
 დიდება ჰქონდეს კობის ბეთლემს.
 დიდება ჰქონდეს ნინო ქართველთ განმანათლებელს.
 დიდება ჰქონდეს კობის წმიდა გივარგის, მგზავრების პატრონს.
 დიდება ჰქონდეს ღთებუ უცვალებელსა.“

¹ ალბათ: კორკის.



- დიდება ჰქონდეს გარბნის წმიდა გივარგის.
- დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმიდა გივარგის.
- დიდება ჰქონდეს სპარსანგელოზს.
- დიდება ჰქონდეს მთავარ-ანგელოზს.
- დიდება ჰქონდეს ნათლიმცემელს, ბაღღების პატრონს.
- დიდება ჰქონდეს ხორხის და ბახტრის წმიდა გივარგის, მწყემსების პატრონს.
- დიდება ჰქონდეს მინდერის წმიდა გივარგის“.

ჩაწერილია ს. იორდანიშვილის მიერ ხეფში
1923 წ. დეკანოზის საბარალო სუჯაშვილის თქმით.

4. თ უ შ უ რ ი

ივ) * *

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ეს უფრო დიდებულია,
მემრე ვადილოთ კვირაე, კვირაე კარაღეთისია,
მემრე ვადილოთ ფიწალე, ლაშქარისა წინმძღვარია,
მემრე ვადილოთ კოპალე, კოპალე კარატისია,
მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი ჯაჭმატისია,
მემრე ვადილოთ მარიაჰ, მარიაჰ დედა-ღეთისია,
მემრე ვადილოთ თევდორე, თევდორე შავგვრემანია,
მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი სახეოსია,
მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი გომეწრისია,
მემრე ვადილოთ ისრაილ, ისრაილ ბუჭურთისია,
მემრე ვადილოთ სანება, სანება საჯარისია,
მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი მუხრუენისია,
მემრე ვადილოთ ჭიხალე, ჭიხალე ხისოს მთისია,
მემრე ვადილოთ მიჭაელ, მიჭაელ ხვაეგორისია,
მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი ლაშარისია,
დიდნიმც ხართ, დიდებულიც ხართ, საჯსენებელნო ღეთისშვილნო“.

ჩაწერილია ს. დოჭუში 55 წლის
ბ. ხოზიაიძის თქმით.

იზ) * *

„ჯერალა ღმერთი ვადილოთ, მით უფრო დიდებულია,
მემრელ ვაქსენოთ კვირაე, კვირაე კარაღეთისია,
მემრელ ვადილოთ გიორგი, გიორგი სავეოსია,
მემრელ ვადილოთ ფიწალე, ფიწალე დოჭურთისია,

მემრელ ვადიდოთ კობალა, კობალა კარატისია,
 მემრელ ვადიდოთ გიორგი, გიორგი ჯავშატისია,
 მემრელ ვადიდოთ ცალარქა, ცალარქა ბეღელასია,
 მემრელ ვადიდოთ ისრაელ, ისრაელ ბიჭურთისია,
 მემრელ ვადიდოთ სანება, სანება საჯარისია,
 მემრელ ვადიდოთ გიორგი, გიორგი მუხრუენისია,
 მემრელ ვადიდოთ სანება, სანება გოგრულთისია,
 მემრელ ვადიდოთ მიქაელ, მიქაელ ხვავეგორისია,
 მემრელ ვადიდოთ კიხალე, კიხალე ხისოს მთისია,
 მემრელ ვადიდოთ ლაშარე, ლაშარე ჩილოს თავისა“.

ჩაწერილია ს. დოკუში 65 წლის
 პელო თორღვაიძის თქმით..

II. სასიზღვროები

A. ქორ-ბეღელა

1. თუშური

ა) ლაშარის ჯვარისა

„დღესამ დღეობა ვისია,
წმინდისა გიორგისია.
წმინდა გიორგი ვალვანზე გამოსულაო,
ვალვანზე ალი ხე ამოსულაო,
ზედ ხილი მოუსხამ დია,
საქმელად მოწეულაო.
წმინდა გიორგის ქალ-ვაჟთ შემცოდე
ბედს უდროვოდ ჩამოშაულანო“.

ჩაწერილია ს. ჯვარბოსელაში

ბ) ლაშარის ჯვარისა

„დღესამ დღეობა ვისია?
წმიდისა გიორგისია.
ყმათ აღუმატე გიორგი,
თუ გინდან მოსახელენი.
პურს აღუმატე გიორგი,
თუ გინდან კოდნი საესენი.
ცხვარს აღუმატე გიორგი,
თუ გინდან რქა-ჯანგიანნი.
წმინდა გიორგის კარზედა
ხე ალოთ ამოსულიყო,
ზედა მოსხმია ყურძენი,
საქმელად მოწეულიყო.
ემე შემცოდებ ქალ-ვაჟებ



უდროთ დაშულიყო¹.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაგიმარჯოთ მომსახურებო,
მრავალჯერ გამსახუროთ წმინდა გიორგისთვის⁴.

ჩაწერილია ს. დოჭუში

გ) „ძმა ჯვრების“ თევდორე და ქავთარისა

„დღესამ დღეობა ვისია,
წმინდისა ქავთარისია.
მთა-მთა მოვალის ქავთარი,
ნაპრალს მაამტვრევს მთისასა.
ქალაზე წმინდა თევდორე,
აღთოს მაამჩხვრევს წყლისისა.
წმინდის თევდორის კარზედა
ხე ოღვრად ამოსულაო,
ზედა მოსხმულა ყურძენი
საკმელად მოწეულაო,
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი
უდროვოდ დაშულაო.
ცხვარს აღუმატე, თევდორე,
თუ გინდა რქა-ჯანგიანი,
ყმას აღუმატე, ქავთარი,
თუ გინდა მოსაგელენი,
პურს აღუმატი, ქავთარი,
თუ კოდნი გინდა სავსენი,
ქალთ აღუმატე, ქავთარი,
თუ გინდა მოშაირენი“.

ჩაწერილია ს. ომალოში.

¹ ჩვენ მიერ ჩაწერილ ამ სასიმღეროს ერთ ვარიანტში „დაშულიყოს“ ნაცვლად სწერია „დაშულაო“. ამ ვარიანტში აღნიშნულ სიტყვას უშუალოდ მისდევს შემდეგი ტექსტი:

„სიმღერას უთხროთ ერთსაო,
შეგებერწებით ღმერთსაო.
ღმერთო გვიცოცხლე მესანი
ვინაც გვახლიან გვერდსაო.
ღამე მღერასა დილა სჯობს,
დილაი დილაობასა,
ქალ წვალზე დაგვიანდება

დაბანის კელ-პირისასა,
ვაჟ დარბახ დაგვიანდება
შესმისა ბარძიშისასა.
კელში მოსულსა ბარძიშსა
განა კი ყველას სმა უნდა,
პირად მოსულსა სიტყვასა
განა კი ყველას თქმა უნდა“.

2. ხევისურული¹

ბ)

„ჩვენის ბატონის კარზედა
 ხე ალვად ამასულაო,
 წვერად მაუსხამ ყურძენი,
 საკმელად ჩამასულაო,
 შაგის უქმელი ქალ-ვაჟი
 უდროოდ დაშაულაო“.

ჩაწერილია ალექსი ოჩიაურის
 მიერ (არხოტი).

B. ფირკისა

1. ხევისურული²ც) კაკმატის გიორგი³

„ქაჯავეთ რად იარები,
 გიორგი მგლისა ფერაო?“

¹ ხევსურული, ფშურთი, მოზეურთი, კახური და ქართლური ვარიანტები იხ. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია I ხევსურული, ტფ. 1931 წ., გვ. 228. ლექსი 551 და გვ. 596-7, შენ. 551.

² ხევსურული სასიმღეროები აქ მოგვყავს ვრცლად, იმ სახით, როგორადაც ისინი ადგილობრივ იქნა ჩაწერილი. ფერხულის დროს კი ამ სასიმღეროებს ამოკლებდნენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მღეროდნენ ხოლმე.

³ ინფორმატორმა ამ ლექსს წინ წარუძღვანა შემდეგი მოთხრობა: „ჩვენ ჯვარ წასულ ქაჯავეთში. აქ ერთ ვეგსურ ყოფილ, გახუა ხქეიება. ჯვარ სულეზ ამოურთიებ იმისად და თან გაუყოლებავ. გახუაი გვამ დამჩალა ერთ ალაგას, — ეხ ვრქელს იმ ალაგას.“

მემრ ისინი ქაჯავეთში მისულ. იქ ქაჯ-მედეელი უქედს. მკედელ რა ამაილ ის რკინა, ხატის ძალით გატყვრ ი რკინა, იქებნი ბაზარი და ცვეხლ გაჩენილ ერთიანა. რაც საქონ, ნივთი-ერებაი იყვის, სრუ გიორგი კაკმატის ჯვარ წამაულავ. წინ-წინ იმას გახუაისად უთქომ: „მეპურსატნე გახუაო, ჩადგი ფევი გვამჩიაო“ მემრ წამადგივ გახუაი. (ს. ახიელში ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტი გახუას ამ ხედმეტ სახელს განმარტავს: „კაკმატის გიორგი ქაჯავეთ რო წასულ, თან სტანივ გახუაი. იმას პურ-სატან ბევრ უქამივა, — გაუმადლარ ყოფილ-დ ამაზე ვიორგის უთქომ — მეპურსატნეამ გახუამაო გარდამიკრიფნა თეთრეულნიო ქაჯავეთიო მატანილინიო“). ნადველ იმათ ღამე მაუსხამ კაკმატჩი. მაშინ ორ დედა-ქალ ყოფილ კაკმატჩია. უთქომ ერთ ქალ-დედასა: „რამოდენ საქონი ას მა ჯვარჩია, ვეგ გიორგის ძალივ იქნებისავ“. ქალი მამისავ სამშობლოთი ყოფილ, იქ ვაჟი-შვილ მაუგავ“.

სოფელ რომაქაში ჩაწერილ ვარიანტით ხახმატის გიორგის ლაშქრობის დროს ხევსურეთში გამლიარაულ-წიკლაურების გვარი დაღვეული ყოფილა. ამ გვარიდან დარჩენილ ერთად ერთ ოჯახს ამ ხანად ქალიშვილი შესქენოდა და გვარის ამოწყვეტის ბედი გადაწყვეტილი იყო, რომ ერთ გარემოებას ამისათვის ხელი არ შეეშალაო. გამლიარაულ-წიკლაურების რძალი თავისი ახლადშობილი ქალიშვილით და ამავ სოფლის მეზობლის ქალი თავისი ვაჟიშვილით ჯვრ კიდევ „ქთხში“ ყოფილიყვნენ, როდესაც ხახმატის გიორგის ქაჯავეთიდან ნადველი საქონელი მოესხა. გამლიარაულთ რძალს უამრავი საქონლის დანახვა არ გაკვირებოდა და ამიტომ მისი ქალიშვილი ვაჟად ქვეუღიყო, რის შემდეგ გამლიარაულთ გვარი ვამრავლებულა ხევსურეთში. ხოლო მეზობლის ქალი ვაჟიშვილის გამოთქმისათვის სასტიკად დასჯილა — მისი ახლადშობილი ვაჟიშვილი წმ. გიორგის ქალად უქცევიო. ხახმატის გიორგის ქაჯავეთში ლაშქრობის შესახებ ნ. აგრეთვე ა. შანიძე, დას. ნაშ. გვ. 594, შენ. 548.

—ვალი მივიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ ქრისტის დედაო¹.
კომს ზელდა ქაჯის ბებერი,
მივასწერ ცხოზაზედაო.
სინას სქედდ ქაჯის მქედელი,
მივასწერ წნობაზედაო.
სამქედლოს გადაუხენავ,
ნისლები დაბადულაო,
მქედელი, მემქედურები
ცისავე გამართულაო,—
გრდემლსა, ველკვერსა, მარწუხსა
გვერდით ცალ-ცალი სკდებაო.
მათრახის წვერი მაუკარ,
ცხენი შავიგდი ზენაო.
„გიორგივ, ნუ გაიქცევი,
სამძიმარ მოგდევ ჯელოა“.
გიორგი არ გაიქცევის,
ტანთ კაბა აქვის ქრელოა“.

ჩაწერილია ს. ბარისაზოში-
თაზია ქეთელაურის თქმით.

თ) ჯაჭმატის გიორგი

„ქაჯეთის ბრძოლას აპირობს
ჯაჭმატელი გიორგიო.
აწია გამარჯვებულმა
ხატმა ანგელოზთ ჯარიო.
გახუა მეგრელაური,
გიორგი მგზავრის ბერიო,
ბუზ-ბუილადა აქცივა,
გაგზავნა წინამძღვარიო.
ადგეს, წავიდეს ხთიშვილნი,
—კოპალა სადლა არიო?—
ადგეს, წავიდეს ხთიშვილნი,
მოდმეთ უჭირეს მჯარიო.
ქალაქ ვერ ჩადის გიორგი,
ფინთი ამაღის ალიო,
ვატეხეს ქაჯთა ქალაქი,

¹ ს. აბიელში ჩაწერილი ვარიანტი:

„ქაჯავეთ რას იარები?
გიორგი, ქალის ფერაო.

—ვალი მივიდავ, ვალსა ვსთხოვ,
რას მკითხავ, ქრისტის დედაო“.

დაასხეს ნავთის წყალიო.
 იქ დაეჭირა გიორგის
 სამი ქაჯების ქალიო —
 სამძიმარი და მზე-ქალი,
 მესამე აშე-ქალიო.
 დანათლნა თავის ჯურზედა,
 გვერდით დაისხნა დანიო.
 იქით დაბრუნდეს ხთიშვილნი,
 დაიძრო მთა და ბარიო,
 ზღვა-ხმელთას გამაიარეს,
 დახვიეს ალან-წყალიო.
 თუშებს უბძანა გიორგიმ
 — მსურს, იყვნეთ ჩემნი ყმანიო.
 იუკადრუეს წოვათა,
 დაადგა დიდი ძალიო,
 შემოსწყრა, თავ მოუწამლა,
 ძროხა უვოცა, ცხვარიო,
 მემრე კაცთ გადაუყენა
 სასჯელი უცნობარიო.
 გაიგეს თუშთა წოვათა
 ესაა ხატის ძალიო,
 აქათ-იქათად იდიეს,
 საცა დიდი ქონ გზანიო,
 მავიდა გამარჯვებული
 გიორგი ნამაშვრალიო,
 შავიდა და მაიტანა
 რაც თვითონ ხქონდა ძალიო.
 თქვენც გამარჯვებით ჩემ ძმანო,
 ზოგი რამ თქვენთაც არიო.
 მავიდა თავის ნაღვარსა,
 გაანთა დიდი ალიო.
 ამავის მალექსებელი
 გუდამაყრელთი ქალიო¹.

ჩაწერილია ს. ხაზმატში
 მამუკა ქეთელაურის თქმით.

¹ მთხრობელის ცნობით ეს გუდამაყრელი ქალი იყო საბედლას შვილი ქადაგი თორელა. წმინდა გიორგის მისთვის სიზმარში უნაბეზბია თურმე ეს ამბავი და უბრძანებია ზევსურთ უღექსეთ. იმასაც რაც უნაბავს ასე გაულექსავს და ზალხისათვის უძაბებია.

ი) კოპალა¹

„ხთის კარზე შაეიყარენით
 სამოცდა სამი ჯვარია,
 დევებ ხქონიყო ქორწილი,
 სიმურ ერქვიფა წყალია.
 ცხრათა გამზრდელი დედაი
 ცხრათავიანი ხყოლია.
 ქვემოთ ბოლოჩი ჩამოვჯე,
 ჩემკენ ხქონიყოთ თვალია.
 გადმოდგეს საწონ-ჩარეჭი,
 კვირავე, დაუგი თვალია.
 მე ხუთი ვთხოვე კვირასა,
 გარმამიმეტა სამია.
 ხუთმეტ ლიტრასა რკინასა
 ძირზე გაუგდი ქარია,
 საკმით ლახტ გადაუტიე,
 ზე დავაქციე ბანია.
 ერთ კიდევ გამამეხვეწა,
 აღარ უბრუნე თავია,
 საგმირო წამავიმაღლე,
 კლდეს წამამიბა მვარია.
 კლდე ოთხად გავანაფოტე,
 დევს წამოვსთხარე თვალია.
 კარგა სცოდნიყვეს წყეულსა
 აბუღელაურთ ტბანია,
 ჩავიდა, მეაც ჩავყევი,
 სისხლმა დამიბნა მვარნია.
 ჩვენ ყმანი კარგ ეცადნესა:
 ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია
 მაიყვანეს და ჩამაკლეს,
 ღმერთო, დასწერე ჯვარია.
 შამოვსჯე ბროლის ქვაზედა,
 შამავებერტყე მვარნია,
 ჩავხედენ ჩემსა საჯღომსა

¹ ამ სასიმღეროს ფსევდოგრაფული ვარიანტები „იაკსარი“-ს სახელწოდებით დაბეჭდილი აქვს პროფ. ა. შანიძეს, ნ. მისი, ქართული ხალხური პოეზია I ხვესურული, გვ. 223, ლექსი 542 და გვ. 575—587, შენ. 542.

ხალხის ძველი რწმენით, კოპალა და იახსარი (ორივე დევკერპებთან და ეშმაკებთან მებრძოლი ლეთაება) მოძმეები იყვნენ. ამავე დროს ამ ორი ლეთაების ერთმანეთისაგან გარჩევა მოსახლეობის წარმოდგენაში მეტად სუსტი იყო. ამით აიხსნება, რომ ერთი და იგივე შინაარსის თქმულებები და სასიმღეროები ხან კოპალას და ხან იახსარს მიეწერებოდა ხოლმე.

კრელ მამრჩალიყვნეს ქვანია.
 ღმერთო, თუ მამე შეძლება
 შენავ ამივსენ მგარნია,
 აქედან თოკი გამიბი
 კარატის გასავალია,
 აგრე გავივლი იმაზე,
 ვერვინ მაკიდის თვალია.
 დიის-გორ სახლს აკეთებენ
 ჩემს ქვემოთ ცხრანი ძმანია,
 ცხრანივ ქვას ეზიდებიან,
 დაუდგათ კარის თვალია.
 მივედი, მეაც ავსწიე,
 ღმერთო, შენგან მაქვ ძალია.
 ერთმანეთს ეუბნებიან
 —ეს ჩვენზე ძალიანია.
 ეგენიც გამეემართენ,
 დაეშაღეთ აწინწელია,
 დიის-გორს შამამიკიდეს
 ჩემი პატარა ზარია.
 დახკარ, ჯმა აჯად გავიდას,
 პირს დაიწერონ ჯვარია,
 ლოცვა-წირვაზე დამიდგან
 ჩემი პირქუშის ყმანია“.

ჩაწერილია ს. ლემაისკარში.



დამატება

(ლექსები ხთიშვილთა შესახებ)

1. თუშუნი¹

დ) ფიწალი.

ჩვენსავე რა გინდა, ფიწალივ,
ლარიბთას, ცალიერთასა,
ვერცას დაგივოცთ ვარ-ყოჩთავ
ბერთა და რქა-ჯანგიანთა,
ვერცას დაგიტხრით ვაროთა
ძველსა და კირკილიანსა.
ჩვენსავე რა გინდა, ფიწალივ,

.....
მთა-მთა მოდ ბატონ ფიწალი,
ნაპრალს მაამტვრევს მთისასა,
ქალაზე გმირი კოპალე,
აღთოს მაამჩხვრევს წყლისასა“.

ჩაწერილია ს. დოჭვში.

ე) კოპალე

„არ გეშინია, კოპალე,

.....
—არ მეშინია კოპალეს,
თუ რახტი ხელში მექნება

.....
ციხეს აგებენ ბორბალსა
ბროლის მარილის ქვისასა,
შიბად შიგ გალოს ატანენ
გრძელ-გრძელსა მითხორისასა.
ბარბოლის წვერს ბალათერა

¹ ქვემოთმოყვანილი ლექსები ყველა ფრაგმენტარულია. მოსახლეობას სუსტადლა ახსოვს ამ ხასიათის ლექსები და ამიტომ ჩვენ ვერ შევძელით მათი მთლიანი ტექსტის ჩაწერა.



ლამეს ათენებს გმინვითა¹

.....

მთა-მთა მოვიდის კოპალე,
ნაპრალს მამტვრევს მთისასა,
ქალაზე წაწმატის ჯვარი
აღთოს მანქლევეს წყლისასა“.

ჩაწერილია ს. დოჭუში.

ვ) ლაშარის ჯვარი.

„ბრძანებდა ლაშარის ჯვარი
—ცას მე ვარ ოქროს შიბითა,
ხმელ-გორში მედგა ბერ მუხა,
ზედ დავდიოდი კიბითა.
ბევრი ეცადა ვაჟაკი
ვერვინ დამბედა შიშითა,
რჯულძაღლმა ერისთვიანმა
გადმომიბრუნა ძირითა.
ამოსწყდეს ერისთვიანი
თავის ქალ-ვაჟიშვილითა“.

ჩაწერილია ს. ჩილაში
უნა ჯაფარიძის მიერ.

¹ სიტყვებიდან „ციხეს აგებენ ბორბალსა“ ოთხი სტრიქონი ოდნავ შეცვლილი სახით წარმოდგენილია ხევისურულ საგმირო ლექსებში საერთო სათაურით: „ქისტებმა გზა შეუკრეს თუშეთს მიმავალ კარატის ჯვარიონთ“—ა. შანიძე, დას. ნაშ., გვ. 62, ლექსი 157 და აგრეთვე გვ. 425, შენიშვნები და ვარიანტები. ხოლო ორი უკანასკნელი სტრიქონი სიტყვებიდან: „ბორბალის წვერს ბალათერა“... წარმოადგენს ხევისურული საგმირო ლექსის „ბალათერა ჯაბუ-შანურის“ (ა. შანიძე, დას. ნაშ., გვ. 29, ლექსი 72 და გვ. 381, შენიშვნები და ვარიანტები.. 72) თუშური ვარიანტის ნაწყვეტს. ამაზე მიმითითა პროფ. ა. შანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

